726/2ш 8287

21

30 მარტს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში, მუშაობას შეუდგება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობა. ჩვენი ქვეყნის მშრომელები ახალი გამარჯვებებით ხვდებიან კომუნისტთა დიდ ფორუმს, რომელიც ადამიანთა კეთილდღეობაზე ზრუნვის ნიშნით წარიმართება.






ჯამური

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 6 (262). გამოცემის მე-15 წელი

1971 წლის 26 მარტი





19 მარტს მოსკოვში, იტალიის საელჩოს შენობაში, უმაღლესი იტალიური ჯილდო — ოქროს მედალი „მხედრული მამაცობისათვის“ — გადაეცა იტალიის ეროვნული გმირის ფორე მოსულიშვილის ძმებს — გიორგი და ვასილ მოსულიშვილებს.

სურათებზე: ზევით — ფორე მოსულიშვილის ჯილდო — ოქროს მედალი „მხედრული მამაცობისათვის“ (მედლის ორივე მხარე); დაჯილდოების ცერემონია მოსკოვში, იტალიის საელჩოში; მარცხნიდან — საბჭოთა კავშირის მარშალი ივანე ბაგრამიანი, გმირის ძმები ვასილ და გიორგი მოსულიშვილები, იტალიის ელჩი ფედერიკო სენსი; მარცხნივ — დაჯილდოების დეკრეტი.

უკვდავება

იტალიის საელჩოში ჯილდო გადაეცა ფორე მოსულიშვილის ძმებს

ბიბლიოთეკა

გაზეთ „სამშობლოს“ მკითხველებს კარგად იცნობენ ჩვენი საამაყო მამულიშვილის, იტალიის ეროვნული გმირის ფორე მოსულიშვილის სახელს. როგორც ადრე ვიუწყებოდით, 1970 წლის 28 თებერვალს იტალიის პრეზიდენტმა ჯუზეპე სარაგატმა ხელი მოაწერა დეკრეტს საბჭოთა მეომრის, ქვემომაჩხაანელი ფორე ნიკოლოზის ძე მოსულიშვილის დაღუპვიდან 25 წლის შემდეგ რესპუბლიკის „უმაღლესი ჯილდოთი — „მხედრული მამაცობისათვის“ ოქროს მედლით დაჯილდოების შესახებ.

და აი გავიდა კიდევ ერთი წელიწადი და მოსკოვში, იტალიის საელჩოს შენობაში გაიმართა გმირის ნათესავებისათვის ჯილდოს გადაცემის საზეიმო ცერემონია.

...საელჩოს დიდი დარბაზი გაკაშკაშებულია. აქ შეიკრიბნენ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ცნობილი მხედართმთავრები, გენერლები და ოფიცრები, ომის ვეტერანები და ყოფილი პარტიზანები. აქ არიან საბჭოთა კავშირის მარშალი ივანე ბაგრამიანი, საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თავმჯდომარე, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალი პავლე ბატოვი, გენერალ-ლეიტენანტი არჩილ გელოვანი, საბჭოთა კავშირის ღვაწლმოსილი გმირი ალმასი მარუსიძე და სხვები.

ცერემონიის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე დარბაზში შემოდიან საბჭოთა საქართველოს წარმომადგენლები, მათ შორის საქართველოს მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენელი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში ილია ართმელაძე, სსრ კავშირ-იტალიის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე ვლადიმერ მაჭავარიანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი დიმიტრი გელაშვილი, ომის ვეტერანი, გენერალ-მაიორი ნიკოლოზ კალაძე, საქართველოს მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე პარლო გარდაფხაძე, საქართველოს დეპეშათა სააგენტოს დირექტორი ვლადიმერ ჭიაურელი, სსრ კავშირ-იტალიის საზოგადოების რესპუბლიკური განყოფილების გამგეობის წევრები ამირან მახარაძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვერიკო ანჯაფარიძე, მწერალი თინა დონდუაშვილი, დრამატურგი გიორგი მდივანი, ჟურნალისტები ვახტანგ ცისვანაია და ედუარდ სიხარულიძე.

აქვე არიან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და იტალიის საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები, მოსკოვისა და საქართველოს პრესის, ტელევიზიისა და კინოს წარმომადგენლები, უცხოელი ჟურნალისტები...

პატარა მაგიდაზე ვერცხლის ლანგარია. ლანგარზე ოქროს მედალი დევს. წინა მხარეს, ლენტის, დაფნისა და მუხის ფოთლებს შორის ამოკვეთილია სუთქმიანი ვარსკვლავი და წარწერა: „იტალიის რესპუბლიკა“, ორგვლივ — „მხედრული მამაცობისათვის“. მედლის მეორე მხარეს ამშვენებს ზეთისხილის რტოები. ცენტრში ამოკვეთილია — ფორე ნიკოლოზის ძე მოსულიშვილი, გმირობის თარიღი — 1944 წლის 3 დეკემბერი, ადგილი — მოტარონე-ლეზა (ნოვარა).

ოქვენენ გმირის ძმებს ვასილ და გიორგი მოსულიშვილებს. ერთი სიღნაღის ტყის მრეწველობის მეურნეო-

(დასასრული მე-2 გვ.).

კომპოზიტორის სადიდებლად

ოქტომბერში საბჭოთა ხალხი დიდი ზეიმით აღნიშნავს ქართული მუსიკის კლასიკოსის, უკვდავი ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავს. ამ სახელოვანი თარიღისათვის უკვე გაცხოველებით ემზადებიან. სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს კოლეგიამ და კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის სამდივნომ შექმნეს სრულიად საკავშირო საიუბილეო კომისია კომპოზიტორთა კავშირის პირველი მდივნის ტიხონ ხრენიკოვის თავმჯდომარეობით. კომისიის შემადგენლობაში არიან საბჭოთა კავშირის კულტურის მინისტრი ეკატერინე ფურცევა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ვასილ შაურო და მუსიკის სექტორის გამგე იური კურპენკოვი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მიხეილ გოგიჩაიშვილი, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გივი ჯავახიშვილი, მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი ალექსანდრე სვეშნიკოვი, რუსეთის კულტურის მინისტრი ნიკოლოზ კუზნეცოვი, რუსეთის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი გიორგი სვირიდოვი, კომპოზიტორები დიმიტრი შოსტაკოვიჩი და არამ ხაჩატურიანი, საბჭოთა კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი.

კომისიის გადაწყვეტილებით, ოქტომბრის მეორე ნახევარში მოსკოვის დიდ თეატრში გაიმართება ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივი დიდი თეატრის სცენაზე აჩვენებს „დაისსა“ და „აბესალომ და ეთერს“. გადაწყდა აგრეთვე გაიმართოს თბილისის საოპერო თეატრის გასტროლები მოსკოვში.

საქართველოს მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა რესპუბლიკის მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმის წინადადება ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ორი პრემიის დაწესების შესახებ. ეს პრემიები (თითოეული 1500 მანეთის ოდენობით) ორ წელიწადში ერთხელ, 21 თებერვალს, „აბესალომ და ეთერის“ დადგმის პირველ დღეს, მიენიჭებათ საუკეთესო მუსიკალურ ნაწარმოებთა, მუსიკის თეორიისა და ისტორიის დარგის ნაშრომთა ავტორებს, შემოქმედებით კოლექტივებსა და მუსიკოს-შემსრულებლებს საუკეთესო ოსტატობისათვის.

ფულადი პრემიის გარდა, დაჯილდოებული მიიღებს სამკერდე ნიშანსა და დიპლომს. პრემირებული ნაწარმოებები გადაეცემა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმუზეუმს.

ამ პრემიის პირველი ლაურეატები ცნობილი გახდებიან წლეულს ქართული მუსიკის კლასიკოსის ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ დღეებში.

გმირის ნაკვალევზე



ომის მეძალე! — იტალიის უმაღლესი ჯილდო. საკმარისია ითქვას, რომ მისი მფლობელი იტალიის ეროვნულ გმირად ითვლება და რომ საბჭოთა კავშირის გმირის თვედორე პოლეტაევის შემდეგ ფორე მოსულიშვილი მეორე საბჭოთა მოქალაქე, და საერთოდ მეორე უცხოელია, რომელიც ამ მეტად საპატიო წოდებას ეზიარა!

იმის მიუხედავად, რომ უკანასკნელ პერიოდში ფორე მოსულიშვილზე როგორც იტალიურ, ისე საბჭოთა პრესაში საკმაოდ დაიწერა, ბევრი რამ გმირის ცხოვრებიდან ჯერ კიდევ გაურკვეველი რჩებოდა. საჭირო იყო იმ ადამიანების ნახვა, ვინც ახლო იცნობდა მას, ვინც მასთან იბრძოდა და ვინც შემდეგ მისი სახელის უკვდავსაყოფად იზრუნა.

და აი ამ სტრიქონების ავტორს, ჟურნალისტ ედუარდ სიხარულიძესთან ერთად, წილად მხვდა ბედნიერება გმირის კვალს გავყოლოდი და იმ ქვეყანაში მემოგზაურა, რომლის კეთილდღეობას და ნათელ მომავალს საკუთარ სამშობლოს ათასობით კილომეტრით მოშორებულმა ქართველმა შებრძოლმა ვაჟკაცურად შესწირა თავი.

რომში, ამ ულამაზეს, ღია, მუდმივ ქალაქში, თავდაპირველად სამი დღე დავყავით. შევხვდით ადამიანებს, რომელთაც ცოტა როდი იზრუნეს ჩვენი თანამემამულის — ფორე მოსულიშვილის სახელის უკვდავსაყოფად. ვესაუბრეთ იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის წევრს არმანდო პოსუშტას და პარტიზანთა ეროვნული ასოციაციის მდივანს, იტალიის ეროვნულ გმირს რობერტო ვეტერონის, რომლებმაც დიდი დახმარება აღმოგვიჩინეს ჩვენი მთავარი მისიის წარმატებით შესრულებაში. გავიცანით თვალსაჩინო საზოგადო და პარტიული მოღვაწე მაურო გალენი, რომელმაც ამ სამიოდე წლის წინათ დაწერა წიგნი — „საბჭოთა ადამიანები იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობაში“. სხვათა შორის, ამ წიგნში მოხსენებულია ბევრი ქართველი პარტიზანი, ხოლო ფორე მოსულიშვილის გმირობას საგანგებო თავი აქვს დათმობილი. მაურო გალენიმ იტალიის ეროვნული წინააღმდეგობის მონაწილე კიდევ რამდენიმე ქართველი კაცის სახელი გაგვაცნო...

იტალიაში ყოფნისას განსაკუთრებული დახმარება გაგვიწია საბჭოთა კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ნიკიტა რიჟოვმა, რომელმაც, მოუცლელობის მიუხედავად, რამდენჯერმე მიგვიღო. მისი მზრუნველობა ბოლომდე არ მოგვკლებია. სხვათა შორის, მან ჩვენი ჩასვლის მეორე დღესვე ოფიციალურად დააყენა საკითხი, ფორე მოსულიშვილის ჯილდო, რომელიც თითქმის მთელ წელიწადს ინახებოდა იტალიის პრეზიდენტის კანცელარიაში, გმირის სამშობლოში გადმოგზავნილიყო.

იტალიაში აკრედიტებული საბჭოთა ჟურნალისტების — ახალი ამბებისა და საკავშირო დეპუტათა საagენტოების კორესპონდენტთა ხელშეწყობით დავათვალიერეთ რომის ღირსშესანიშნაობანი და მეოთხე დღეს მილანზე გავლით, სადაც მთელი დღე დავრჩით, ჩრდილოეთ იტალიაში, ქალაქ ნოვარაში გავემგზავრეთ.

ნოვარის პროვინციაში მეორე მსოფლიო ომის დროს 300-ზე მეტი ქართველი მონაწილეობდა ანტიფაშისტურ წინააღმდეგ ბრძოლაში. სწორედ აქ, ლაგო მაჯორეს ტბის მიდამოებში, მოქმედებდა ფორე მოსულიშვილი თავისი რაზმით.

მეორე დილით, გაზეთ „უნიტას“ ანტიფაშისტური კორესპონდენტის მარიო რენდოლინისა და საკავშირო დეპეშათა სააგენტოს რომაელი კორესპონდენტის დიმიტრი სტემპანჩენკოს თანხლებით, რომლებიც კარგად იცნობენ ამ ადგილებს და, განსაკუთრებით, ფორე მოსულიშვილის საბრძოლო გზას, ნოვარიდან კიდევ უფრო ჩრდილოეთით, ქალაქ ომენიაში გავემართეთ.

ომენია. გმირის კვალს ადევნებულნი, სწორედ იმ ქალაქში მოვხვდით, სადაც 27 წლის წინათ ჩვენმა თანამემამულემ ერთ-ერთი პირველი პარტიზანული საბრძოლო ნათლობა მიიღო. 1944 წლის შემოდგომის ერთ ღამეს ფორე მოსულიშვილი, სხვა ქართველ პარტიზანებთან ერთად, მოულოდნელად დაეცა თავს გერმანელთა ჰოსპიტალს და იქიდან რამდენიმე დაჭრილი ტყვე პარტიზანი გაიტაცა. მათ გამოჯანმრთელებისთანავე უმეჭველი სიკვდილი ელოდათ.

ამ ქალაქში დღეს ნეოფაშიზმის წინააღმდეგ მიმართული მძლავრი მანიფესტაცია ეწყობა. ნოვარის პროვინციის ყოფილი პარტიზანები, კომუნისტები, დემოკრატები, პატიოსანი და მშრომელი ადამიანები შეეკრიბნენ, რათა პატივი ეცათ იმ ცამეტი პარტიზანის ხსოვნისათვის, 1944 წლის თებერვალში ჰიტლერელებთან უთანასწორო ბრძოლაში რომ დაიცვნენ. კინოთეატრ „სოჩალის“ დარბაზი ხალხით არის გაჭედილი. აქ არიან ჩვენი მისიისათვის ესოდენ საჭირო ადამიანები — ფორე მოსულიშვილის თანამებრძოლები თუ ყოფილი მეთაურები, პარტიზანული მოძრაობის გამოჩენილი ხელმძღვანელები თუ უბრალო ადამიანები, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს ქართველი ვაჟკაცის სახელის სადიდებლად. აქ არიან იტალიაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე, ყოფილი პარტიზანი ლავრენტი ჯაფარიძე და მისი მეუღლე ჭაღბატონი მარია პერონი. სხვათა შორის, სრულიად მოულოდნელად, აქვე შევხვდი ერთ ჩემს ძველ ამხანაგს ჯანი მუტეტას, რომელიც ახლა ამ პროვინციაში კომპარტიის ფედერაციის მდივნად მუშაობს. ეს იყო ნამდვილი სიურპრიზი.

მაგრამ პირველი, ვისთან შეხვედრაც ყველაზე მეტად გვაღელვებდა, იყო პარტიზანთა ლეგენდარული მეთაური, ამჟამად იტალიის პარლამენტის დეპუტატი, კომუნისტი ერალდო გასტონე. ამ კაცს დღეს საქართველოშიც ბევრი იცნობს. იგი ხომ იტალიის მთებში მებრძოლ ქართველ პარტიზანთა გულწრფელი მეგობარი და მათი ვაჟკაცობის ჭეშმარიტი დამფასებელი იყო. პირველ რიგში, სწორედ მას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ფორე მოსულიშვილის თავდადება დავიწყებას არ მიეცა. ჯერ კიდევ 1945 წლის 10 აპრილს, მან გარიბალდელთა 118-ე ბრიგადის პოლიტიკურმა კომისარმა, პირველმა მოაწერა ხელი ბრძანებას ჩვენი თანამემამულის მთავრობის ჯილდოზე წარსადგენად. მაგრამ მაშინ ომი იყო და საქმეს ბოლომდე მიტანა არ ეწერა. მხოლოდ ოცდახუთი წლის შემდეგ შეძლო ამ კეთილშობილმა, რაინდულად ბუნების კაცმა ქართველი მეომრის სახელისათვის შარავანდედი მოეფინა.

— ზემდგომ ფორე მოსულიშვილი, — განაცხადა ჩვენთან საუბარში ერალდო გასტონემ, — პარტიზანთა ბანაკში 1944 წლის 8 სექტემბერს მოვიდა და კბილებამდე შეიარაღებული სამოცდაათზე მეტი ქართველი ვაჟკაცი მოიყვანა. ქართველები ჩინებული მებრძოლები იყვნენ.

ფორემ, ამ თავმდაბალმა, შესანიშნავი გარეგნობის ვაჟკაცმა და უბადლო მებრძოლმა, სულ მალე პარტიზანთა საერთო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. მას ათასკულის მეთაურობა შევთავაზეთ. არ დათანხმდა — ადგილმდებარეობას კარგად არ ვიცნობ, არც იტალიური ენა ვიცი ისე, მეთაურობა რომ შევძლოო. რაზმის უფროსის თანამშეწყედ ყოფნა არჩია. მას არაერთხელ უთქვამს — რა მდგომარეობაშიც უნდა ჩავვარდე, გერმანელებს ცოცხლად არავითარ შემთხვევაში არ ჩავბარდები, მათ ასეთ სიამოვნებას ვერ მიუნანებო. ფორეს სიკვდილის შემდეგ ერთ-ერთ პარტიზანულ ათასეულს მისი სახელი მივაკუთვნეთ...

ომენიაში ვესაუბრეთ პარტიზანული მოძრაობის კიდევ ერთ თვალსაჩინო ხელმძღვანელს ალბინო კალეტის, რომელიც პირადად იცნობდა ფორე მოსულიშვილს, გარიბალდელთა ერთ-ერთი დივიზიის ყოფილ კომისარს ჯუზეპე კოპოს, სენატორ ფრანკო ანტონიჩელის და სხვებს, რომლებმაც იტალიაში ფაშისტების წინააღმდეგ მებრძოლი არაერთი ქართველი პარტიზანი გაიხსენეს.

მეორე დღეს გეზი ლაგო მაჯორეს სანაპიროსაკენ ავიღეთ. იტალიის ამ მთავარი ტბის თვალწარმტაცი ბუნება მნახველზე განუმეორებელ შთაბეჭდილებას ახდენს. აქ, სწორედ ამ მთებში აფარებდნენ თავს პარტიზანები. მათ შორის ბევრი ქართველი იყო.

ვნახეთ უმშვენიერესი ქალაქი სტრეზა — ლაგო მაჯორეს „დედოფალი“. აქედან, 1944 წლის 7 სექტემბრის ღამეს ტყვე ქართველებმა ფორე მოსულიშვილის მეთაურობით იარაღი აჰყარეს ფაშისტური ბანაკის მცველებს და ტყეს მიაშურეს. მეორე დღეს თავით ფეხამდე შეიარაღებული ქართველთა ასეული იტალიელ პარტიზანებს შეუერთდა.





გავიარეთ ქალაქები — ბილჯირანტე, ლეზა, გადავუხვიეთ სელმარჯვნივ, ავუყვეთ მთის ფერდობს და სოფელ კომნაგოს მივადექით.

ამ სოფელში შეჩერდა ფორე და მისი რაზმი 1944 წლის 2 დეკემბერს, საბედისწერო ბრძოლის წინადღეს. მეომრები დაღლილები, მშივრები იყვნენ და სადილად თავიანთი ძველი მეგობრის გულხი ნათალ მოტას ოჯახში შეუხვიეს.

ნათალე და მისი მეუღლე უკვე ცოცხლები აღარ არიან. ახლა ამ სახლში მათი ქალიშვილი ტერეზინა ცხოვრობს. ტერეზინა, მაშინ სრულიად ახალგაზრდა გოგონა, თვითონაც პარტიზანთა მეკავშირე ყოფილა. მას კარგად ახსოვს ფორე — მაღალი, მხარბეჭიანი, ლამაზი ვაჟკაცი, შვენოდა ულვაშები და მოკლედ შეკრეჭილი წვერი, ეცვა სამხედრო ფორმა, მოკლე ქურთუკი.

სწორედ იმ ოთახში ვართ, სადაც ერთ დროს ჩვენმა თანამემამულეებმა ისადილეს. დაკვირვებით ვათვალიერებთ ყველაფერს, მას შემდეგ ხომ დიდი დრო გავიდა და, რა თქმა უნდა, აქაც ბევრი რამ შეიცვალა. არ შეცვლილა მხოლოდ მასპინძელთა კეთილი გული — ქალბატონი ტერეზინა და მისი მეუღლე კვლავ წითელი ღვინით გვიმასპინძლდებიან...

ტერეზინა იგონებს, პარტიზანები საღამოს 7 საათამდე დარჩნენ ჩვენთან, ხოლო როცა შეღამდა, სოფელ კოლონიის მიმართულებით წავიდნენ.

...იმ გზას დავადექით, 27 წლის წინათ, დეკემბრის სუსხიან ღამეს ჩვენმა თანამემამულემ უკანასკნელად რომ გაიარა. პარტიზანებმა გლეხი მოტას ოჯახიდან სამიოდე კილომეტრზე ქალაქ ლეზის მახლობლად, სოფელ კოლონიის ბოლოს, ციცაბო ფერდობზე, იქ სადაც ვენახები თავდება და აკაციის ხშირი ტყე იწყება, უპატრონოდ მიტოვებულ, ქვისაგან ნაგებ ჭოხს შეაფარეს თავი.

ვახტანგ ესვანჯია

რომი-ნოვარა-თბილისი.

(გაგრძელება იქნება)

უკვდავება

(დასასრული)

ბის მუშაა, მეორე მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრია.

იტალიის საელჩოს თავდაცვის საკითხთა ატაშე და სამხედრო ატაშე პოლკოვნიკი კაპუტო კითხულობს იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტის დეკრეტს, რომელშიც ნათქვამია, რომ თავდაცვის მინისტრის წინადადებით ფორე ნიკოლოზის ძე მოსულიშვილი, საქართველოს მკვიდრი, დაჯილდოვდა ოქროს მედლით „მხედრული მამაცობისათვის“.

იტალიის თავდაცვის მინისტრი ამ დოკუმენტში აღნიშნავს, რომ ფორე მოსულიშვილი იყო სანიმუშო ჯარისკაცი, თანამებრძოლი, ადამიანი, რომელიც უსაზღვროდ ერთგული იყო არა მარტო თავისი სამშობლოსი, არამედ თავისუფლებისმოყვარე კაცობრიობის საქმისაც.

შემდეგ იტალიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საბჭოთა კავშირში შედრიპო სენსიმ გმირის ძმებს გადასცა ოქროს მედალი „მხედრული მამაცობისათვის“ და თავდაცვის მინისტრის სპეციალური დოკუმენტი.

შეკრებილთ წუთიერი დუმილით პატივი სცეს გმირის ხსოვნას.

ელჩი ფედერიკო სენსი ამბობს:

— უწინარეს ყოვლისა, მინდა მადლობა გადავუხადო სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფალთ, გმირი მოსულიშვილის ძმებს, საქართველოს წარმომადგენლებს იმისათვის, რომ მოისურვეს განსაკუთრებით სახეიმო ხასიათი მიეცათ თავიანთი დასწრებით ამ ცერემონიალისათვის.

იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტსა და იტალიის მთავრობას, რომლებმაც სიკვდილის შემდეგ მიანიჭეს ფორე მოსულიშვილს იტალიის უმაღლესი სამხედრო ჯილდო, ოქროს მედალი — „მხედრული მამაცობისათვის“, ამით სურდათ გამოეთქვათ ხალხის მადლობა გმირისადმი, რომელმაც თავი დადო მეორე მსოფლიო ომის დროს იტალიაში გაჩაღებულ თავისუფლებისათვის მძიმე ბრძოლაში.

საბჭოთა გმირის თავდადებული ნაბიჯი, რომელიც მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა, ეს უმაღლესი მორალური მამაცობის აქტი, მოკლედ აღწერილია დაჯილდოების დოკუმენტში, რომელიც ეს-ეს არის წაიკითხეს აქ. ეს სამახსოვრო ამბავი ღირსია იმისა, რომ უდიდესი პატივისცემისა და მადლიერების გრძნობით გავიხსენოთ გმირი. ეს არის ქართველი ხალხის და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის მაღალ თვისებათა შესანიშნავი გამოვლინება. ეს შთაგვაგონებს მთელი ძალ-ღონე მოვახმაროთ უკეთესი, სამართლიანი, თავისუფალი და აყვავებული მსოფლიოს ძიებას.

როცა პატივისცემით ვიხრით ქედს ამ გმირისა და მისი მშობლიური ხალხის წინაშე, უნდა გვახსოვდეს, რომ ფორე მოსულიშვილმა სიცოცხლის განწირვით შეიტანა წვლილი ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებაში.

ქართველო მებრძოლებო!

თქვენ უნდა ამაყობდეთ, რომ ამ გმირს თქვენმა ქვეყანამ აწოვა ძუძუ, მისმა სახელოვანმა საგმირო საქმეებმა ამრავლეს დიდების ის მემკვიდრეობა, რომლითაც ესოდენ მდიდარია საქართველო. ეს გმირობა კიდევ უფრო განამტკიცებს იმ მრავალსაუკუნოვან ტრადიციულ კავშირურთიერთობას, რომელიც საქართველოსა და იტალიას აერთიანებს.

ბევრჯერ ვყოფილვარ თქვენს რესპუბლიკაში და აღტაცებული ვარ თქვენი ხალხით, რომელსაც ესოდენ დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ცივილიზაციის ისტორიაში და ამავე დროს მუდამ მჩქეფარე ცხოვრებით ცხოვრობს და ადგას განუწყვეტელი პროგრესის გზას.

მოსულიშვილის ძმებო!

იტალიის სახელით გულითადად მოგესალმებით და გისურვებთ, რომ თქვენ და თქვენი შთამომავალნი, ისევე როგორც ყველა ქართველი ადამიანი, თვალისჩინივით გაუფრთხილდეთ იმას, რასაც გასწავლით თქვენი ძმის საგმირო საქმენი.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა გმირის ძმამ გიორგი მოსულიშვილმა:

ნება მიბოძეთ ფორე მოსულიშვილის ოჯახის, ნათესავებისა და მეგობრების სახელით, ქართველი ერის სახელით თქვენ, და თქვენი სახით იტალიის პრეზიდენტს, მხურვალე მადლობა გადავუხადო ჩვენი ძმის ფორე მოსულიშვილის საბრძოლო დამსახურებათა მაღალი შეფასებისათვის, იტალიის ეროვნულ გმირად მისი აღიარებისათვის.

გმირის ძმებს იტალიელმა ბავშვებმა ცოცხალი ყვავილების თაიგული მიართვეს.





სურათებზე: ზევით, მარცხნივ — ფორე მოსულიშვილი; მარჯვნივ — ერალდო გასტონე და ტერეზინა მოტა; ფორე მოსულიშვილის საფლავი ქალაქ მეინეში; ქვევით მარცხნიდან — ჩინო მოსკატელი, ბრუნო კალეტი (კაპიტანი ბრუნო), ჯანი მოტეტა და ეციო რონდოლინი.

მეცნიერების და ცხოვრების სამსახურში

აკადემიკოს ვიქტორ კუპრაძეს ტელეფონით დავუკავშირდი და მიღება ვთხოვე. და აი მეორე დღეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, მის სამუშაო ოთახში ვარ. ვაცნობ სტუმრობის მიზანს — გვინდა თქვენზე, როგორც ადამიანზე, მეცნიერზე, მოქალაქეზე წერილი დავწეროთ.

დამთანხმდა. თქვენი გაზეთის მუდმივი მკითხველი და პატივისმცემელი, ასეთ თხოვნაზე უარს როგორ გეტყვითო. ერთი კი მითხრა: ზედმეტსიტყვაობას, ხოტბას ერიდეთ, მათემატიკოსებს სიზუსტე და კონკრეტულობა გვიყვარს და უმჯობესი იქნება, თუ უშუალოდ საქმეზე ილაპარაკებთო. მართალია, ბატონ ვიქტორს შევპირდი, წერის დროს თავშეკავებული ვიქნები-მეთქი, მაგრამ, ზომიერების გრძნობამ ზოგგან თუ მაინც მიღალატა, მაპატიოს ჩვენი ერის სახელოვანმა შვილმა, მას ხომ მეცნიერებისათვის იმდენი აქვს გაკეთებული, რომ ერთი კი არა, ასი კაცის ბიოგრაფიას დაამშვენებდა...

დაიბადა 1903 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ყელაში (ახლანდელი ნინოშვილი). ქუთაისის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1922 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტზე შევიდა. უკვე ამ პერიოდში დაკვირვებულ თვალს ადვილად შეეძლო ამოეცნო მასში დიდი მომავლის მქონე ახალგაზრდა, რომელშიც ბუნებით მომადლებული ნიჭი და შრომისმოყვარეობა საოცრად კარგად შერწყმოდა ერთმანეთს. არც ის იწვევდა ეჭვს, რომ ნიჭიერი ჭაბუკი აუცილებლად მათემატიკოსი გამოვიდოდა, თუმცა 20-22 წლის ვიქტორს, გაზეთების „ახალგაზრდა კომუნისტისა“ და „მოლოდი რაბოჩის“ რედაქტორს, საკმაო საფუძველი ჰქონდა ეფიქრა, რომ ჟურნალისტიკაშიც ბევრს მიაღწევდა. გულისხმამ მაინც ანდრია რაზმაძისა და ნიკო მუსხელიშვილის მოწაფეობა ურჩია.

ვიქტორ კუპრაძე ჯერ კიდევ უნივერსიტეტში, 1929 წელს აქვეყნებს თავის პირველ სამეცნიერო შრომას.

ერთი წლის შემდეგ იგი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში ირიცხება, რომელსაც წარმატებით ამთავრებს 1933 წელს.

მომდევნო ორ წელიწადს ახალგაზრდა მკვლევარი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის სწავლული მდივანი და უფროსი მეცნიერ თანამშრომელია.

1935 წელს ბრწყინვალედ იცავს სადოქტორო დისერტაციას, ბრუნდება საქართველოში როგორც სავსებით მომწიფებული, ცნობილი მეცნიერი და პირველი, რასაც მიზნად ისახავს, ეს არის, აქტიური მონაწილეობა მიიღოს მათემატიკის ინსტიტუტის ჩამოყალიბებაში. და როდესაც საქართველოში ასეთი ინსტიტუტი შეიქმნა ვიქტორ კუპრაძე იყო მისი პირველი დირექტორი.

დაიწყო სამამულო ომი და პროფესორი სამშობლოს დამცველთა პირველ რიგებში დგება. იბრძვის ყირიმის ფრონტზე, რედაქტორობს ერთ-ერთ საფრონტო გაზეთს. შემდეგ კვლავ სამეცნიერო მუშაობას უბრუნდება.

ყრილობის დელეგატები

ვიქტორ კუპრაძის ბიოგრაფიაში დგება წლები, რომლებმაც ასე პოპულარული გახადა მისი სახელი. იგი საქართველოს განათლების მინისტრად ინიშნება. დიდი მეცნიერის ავტორიტეტი, არაჩვეულებრივი ერუდიცია, შემოქმედებითი მიდგომა ყოველგვარი საკითხისადმი და, რაც მთავარია, ორგანიზაციული ნიჭი, მინისტრს საშუალებას აძლევს დიდი ღვაწლი დასდოს სახალხო განათლების შემდგომ წინსვლას ჩვენს ქვეყანაში.

იგივე შეიძლება ითქვას ვიქტორ კუპრაძეზე, როგორც თბილისის უნივერსიტეტის რექტორზე. წლები, როდესაც იგი სათავეში ედგა საქართველოს უპირველეს უმაღლეს სასწავლებელს, პეტრე მელიქიშვილისა და ივანე ჯავახიშვილის ბრწყინვალე ტრადიციების გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ.

1946 წელს ვიქტორ კუპრაძეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად ირჩევენ. დღეს, 68 წელს მიღწეული მეცნიერი, საქართველოს აკადემიის პრეზიდიუმის წევრი და მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივანია.

ვიქტორ კუპრაძის დიდ ავტორიტეტზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 1962 წელს იგი დამფუძნებელ კრებაზე საქართველოს მათემატიკური საზოგადოების პირველ პრეზიდენტად აირჩიეს.

მათემატიკური სამყაროსათვის კარგად არის ცნობილი ვიქტორ კუპრაძის შრომები, რომლებიც მიძღვნილია მათემატიკური ფიზიკის დიფერენციალურ და ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის ძირითადი საკითხებისადმი, კერძოდ, მათემატიკური დრეკადობის თეორიის სივრცული პრობლემებისადმი. მექანიკისა და მათემატიკის ამ დარგით მსოფლიოს ბევრი მეცნიერი იყო დაინტერესებული. მას თითქმის ორი საუკუნის ისტორია აქვს. კლასიკური პერიოდის შემდეგ, რომელიც, ალბათ, ჩვენი საუკუნის პირველ ათწლეულში დასრულდა, მათემატიკური დრეკადობის თეორიის განვითარებამ, საერთოდ, ყველაზე მაღალ დონეს ჩვენში მიაღწია. ამით ქართული მათემატიკური სკოლა მთელ მსოფლიოში გახდა ცნობილი.

სივრცული დრეკადობის თეორიაც სწორედ ამ მიმართულებას მიეკუთვნება.

ვიქტორ კუპრაძის წიგნი „პოტენციალის მეთოდები დრეკადობის თეორიაში“ ორჯერ ითარგმნა ინგლისურად და გამოიცა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჰოლანდიაში. გერმანულ ენაზე დაიბეჭდა მისი „რხევის თეორიის სასაზღვრო პრობლემები“.

1968 წელს ციურიხში გამართულ გამოყენებითი მათემატიკისა და მექანიკის ევროპულ კონგრესზე 9 გენერალური მოხსენებიდან ერთი ვიქტორ კუპრაძეს ეკუთვნოდა.

ჩვენს სახელოვან მეცნიერს ლექციები წაუკითხავს პოლონეთში, დასავლეთ გერმანიაში, უნგრეთში... როგორც წესი, იგი ლექციებს ინგლისურ ან გერმანულ ენებზე კითხულობს.

ბატონი ვიქტორი ახალგაზრდობის დიდი მოამაგე და ქომაგია. მას სწამს, რომ მომავალი თაობა კიდევ უფრო შორს გაიტანს ქართული მათემატიკური სკოლის სახელს, რომ უკვე დღეს დამწყები ქართველი მათემატიკოსები, მეტად რთული, მეცნიერებისათვის ძალზე საინტერესო პრობლემების გადაწყვეტაზე მუშაობენ.

ვიქტორ კუპრაძე იმ მეცნიერთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც არასოდეს იფარგლებიან ვიწრო სპეციალობით და შეუძლიათ ბევრი საინტერესო, სასარგებლო მოსაზრების გამოთქმა ისტორიის, ლიტერატურის, ხელოვნების საარსებო პრობლემებზე.



ერის მოამაგე, მრავალჯერ იყო არჩეული საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, ეჭირა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტი, არჩეული იყო საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. ხალხის წარგზავნილი სიტყვით გამოსულა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

სამშობლომ ღირსეულად დააფასა ვიქტორ კუპრაძის ღვაწლი. იგი დაჯილდოებულია ლენინის, წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით.

სულ ახლახან დიდი მეცნიერი ქართველ კომუნისტთა ფორუმზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დელეგატად აირჩიეს. ხალხის მსახურს კვლავ ადამიანთა ბედნიერების განსამტკიცებლად მიეჩქარება ყრილობათა სასახლისაკენ.

რევაზ მამფავარიანი

მინაწერი. როდესაც ამ წერილს დასაბეჭდად ვამზადებდით, პრესაში გამოქვეყნდა ცნობა, რომ 1971 წლის მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებელ კონკურსზე, სხვებთან ერთად, წარდგენილია ვიქტორ კუპრაძისა და მისი მოწაფეების ნაშრომი — „მათემატიკური დრეკადობის თეორიის სამგანზომილებიანი ამოცანები“.

გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია წარმატებას უსურვებს მეცნიერს, მოქალაქეს, ხალხის მსახურს...

თბილისის უნივერსიტეტის ხვალინდელი დღე

მომავალ თაობას — ჭკვირ-ფასი საჩუქარი

თბილისის უნივერსიტეტის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო. 1970 წლის ბოლო დღეებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ თავის სპეციალურ სხდომაზე დაამტკიცა ქართული უნივერსიტეტის ახალი კომპლექსის მშენებლობის გენერალური გეგმა.

თბილისის დასავლეთით, იქ სადაც მდინარე ვერე მარჯვნიდან წყნეთისა და ბაგების მაღლობებით შეზღუდული ფართო ხეობაში გამოდის და დინების მიმართულებით მარცხნიდან საბურთალოსა და დელისის თხემ-გორაკით ისაზღვრება, უნივერსიტეტის კომპლექსისათვის გამოყოფილია 240 ჰექტარი ფართობი.

ეს ადგილი თბილისის მიდამოების ერთ-ერთი ულამაზესი კუთხეა. წყნეთიდან, ნახშირგორიდან და ბევრეთიდან მონაბერი ნიავი აქ შრომისა და დასვენების განსაკუთრებულ პირობებს ქმნის.

ცხვედაძისეულ შენობაში 1918 წლის 26 იანვარს გახსნილი ქართული უნივერსიტეტი, რომელიც ერთი — სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტისაგან შედგებოდა, საბჭოთა ხელისუფლების ორმოცდაათი წლის მანძილზე დიდად გაიზარდა, მომაგრდა და მსოფლიოში სახელი გაითქვა.

მეცნიერების წარმოუდგენელი განვითარების შედეგად თბილისის უნივერსიტეტის ხელმძღვანელთა და ამ დიდი კოლექტივის თითოეული წევრის მეცადინეობით თბილისის უნივერსიტეტში შეიქმნა და განვითარდა მეცნიერების სრულიად თანამედროვე, ახალი დარგები — გამოთვლითი მათემატიკა, კიბერნეტიკა, ეკონომიური კიბერნეტიკა, ბირთვული და კოსმოსური სხივების ფიზიკა, მიკროელექტრონიკა და ნახევარგამტართა ფიზიკა, მაღალმოლეკულური ნაერთებისა და პოლიმერების ქიმია, ბიოქიმია და ბიოფიზიკა, სტრუქტურული და მათემატიკური ლინგვისტიკა, სოციოლოგია, ბუნებისმეტყველების ფილოსოფია და სხვა.

დიდად გაფართოვდა უნივერსიტეტის ტექნიკური და ლაბორატორიული ბაზა, ჩვიდმეტი ფაკულტეტია დღეს უნივერსიტეტში, შექმნილია გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი და პრობლემური ლაბორატორიები კიბერნეტიკისა, ნახევარგამტართა ფიზიკისა, ბირთვული ფიზიკისა, იონოსფეროსი, კოსმოსური სხივების ფიზიკისა, დაბალი ტემპერატურებისა, ექსპერიმენტული ფონეტიკისა.

უმაღლესი და სამუალო სპეციალური განათლების საკავშირო სამინისტროს მიერ თბილისის უნივერსიტეტი შეტანილია საბჭოთა კავშირის წამყვან 25 უმაღლეს სასწავლებელთა სიაში.

განვითარების ამ დონეს, მეცნიერების ახალ მოთხოვნილებებს მეტი ფართობი, ახალი მოწყობილობა და აპარატურა ესაჭიროება, ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ თბილისის უნივერსიტეტი ველარ ეტევა დიდი იღიას მიერ ნაკურთხ ძირითად კორპუსში — თეთრ შენობაში.

ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის კარგად არის ცნობილი, რომ უნივერსიტეტის ახალ ტერიტორიაზე უკვე აღმართულია თორმეტსართულიანი შენობა, რომელიც ორი გუმბათით არის დაგვირგვინებული. ალუმინითა და მინით მოპირკეთებულ ამ ლამაზ შენობაში, რომელიც უნივერსიტეტს შეემატა მისი ორმოცდაათი წლისთავის იუბილესათვის, მეორე წელიწადია მუშაობს მექანიკა-მათემატიკის, კიბერნეტიკისა და ეკონომიური ფაკულტეტები.

აქვე, ორსართულიან მინაშენში მოთავსებულია გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანებით.

ქართველ არქიტექტორთა ჯგუფის ჩანაფიქრით, რომელშიც შედიან ალექსანდრე საბაშვილი, შოთა კაჭკაჭიშვილი, სალომონ რევიშვილი, ზურაბ კობალაძე, ბიძინა მამინაიშვილი, ნოდარ მგალობლიშვილი, ლერი მეძმარიაშვილი, ნოდარ მიქაძე, დევი ჩოფიკაშვილი, თბილისის უნივერსიტეტის ახალი კომპლექსის ტერიტორია დაყოფილია რამდენსამე ზონად, ესენია სასწავლო-სამეცნიერო, სპორტული, დამხმარე-სამეურნეო და საცხოვრებელი ზონები.

სასწავლო-სამეცნიერო ზონაში მოთავსდება ყველა ფაკულტეტის სასწავლო კორპუსები და მათთან დაკავშირებული უნივერსიტეტის სამეცნიერო დაწესებულებები. ცალკეული ფაკულტეტების შენობები ოთხ-ხუთსართულიანი იქნება, რაც ყველაზე ოპტიმალური სწავლის პროცესისათვის.

ამავე ზონაში მოთავსდება უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობა ხუთი მილიონი ტომისათვის. ეს იქნება ყველაზე დიდი ბიბლიოთეკა უმაღლესი სასწავლებლებისათვის საბჭოთა კავშირში.

უნივერსიტეტის ახალ ბიბლიოთეკას, სამეცნიერო და სასწავლო მნიშვნელობის გარდა, დაეკისრება სამეცნიერო ინფორმაციის წამყვანი დაწესებულების როლი.

უნივერსიტეტის მართვის ცენტრი — რექტორატი მოთავსდება ცალკე შენობაში, იქვე იქნება დიდი სააქტო დარბაზი და ყველა ადმინისტრაციული განყოფილება.

სპორტულ ზონას ეთმობა ახალი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. ეს ზონაც მდინარე ვერეს მარცხენა ნაპირზე განლაგდება. პროექტის მიხედვით, სოფელ ბაგების წინ მდინარე ვერეზე ჯებირის აგებით შეიქმნება ხელოვნური ტბა, რომელიც დაამშვენებს უნივერსიტეტის ახალ ტერიტორიას.

აქ, ხელოვნურ ტბაზე მოეწყობა ღია საცურავი აუზი და ნიჩბოსნობის სადგური. აქვე, ნაპირზე აიგება დახურული საცურავი აუზი, დიდი სტადიონი და სპეციალური დახურული დარბაზი სპორტის სხვადასხვა სახეობისათვის.

თანამედროვე მეცნიერული კვლევა საბუნებისმეტყველო დარგებში წარმოუდგენელია კარგად მოწყობილი სახელოსნოების, კრიოგენული სადგურის (რომელიც თხევადი ჰაერის, აზოტისა და ჟანგბადის მისაღებად არის განკუთვნილი) და სხვა სამეურნეო ნაგებობათა გარეშე. ყველაფერი ეს გათვალისწინებული იქნება სამეურნეო ზონაში.

სტუდენტთა და ასპირანტთა საცხოვრებელი ზონა მოთავსდება მდინარე ვერეს მარჯვენა ნაპირზე და დაკიდებული სიდით დაუკავშირდება სასწავლო და სამეცნიერო კორპუსებს.

საცხოვრებელ ზონაში მოთავსდება მცირე სპორტული კომპლექსი, სტუდენტთა კლუბი, კაფე-სასადილოები და სხვა საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი.

სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებიდან სულ ახლოს, ახლანდელ სოფელ ბაგების ტერიტორიაზე გაშენდება უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლები და კოტეჯები.

ახალი კომპლექსის ტერიტორიაზე განლაგდება აგრეთვე ბიოლოგიური და მეტეოსადგურები, ბოტანიკური ბაღი თავისი საყვავილეებით.


უკვე წლევანდელი წლის დამდეგიდან საფუძველი ჩაეყარა და დაიწყო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის და სტუდენტთა საერთო საცხოვრებლების მშენებლობა. ამჟამად დამთავრების პროცესშია ბიოლოგიისა და ქიმიის ფაკულტეტების კორპუსის საპროექტო ნახაზების დამუშავება, რომელთა მიხედვითაც 1972 წელს დაიწყება ბიოლოგია-ქიმიის კორპუსის მშენებლობა.

თბილისის უნივერსიტეტის ახალ სასწავლო-სამეცნიერო კომპლექსში ყველა პირობა იქნება შექმნილი სწავლისა და სამეცნიერო მუშაობისათვის.

იყო დრო, როცა უნივერსიტეტის თეთრი შენობის — მაშინდელი ქართული გიმნაზიის მშენებლებს, კერძოდ ნიკო ცხვედაძეს უსაყვედურებდნენ: ვერის მელიებისა და ტურებისათვის უყიდია სკოლის ადგილი და ქართველი ყმაწვილები ვერცხლ ელიბუა მენახშირესა და მეშუშებისაკენ უნდა გარეკოსო. თუ რას მიაღწია ამ გზით „გარეკილმა“ ქართველმა ხალხმა, ახლა ყველასათვის არის ცნობილი. ეს გზა დღითიდღე ფართოვდება, დღითიდღე მატულობს მასზე გამვლელთა რიცხვიც. ამჟამად მთელი ქართველი საზოგადოება სიხარულით უყურებს ახალშენებს ვერეს ნაპირებზე და მოუთმენლად ელის ქართული უნივერსიტეტის ახალსახლობას.

ლევან გედევანიშვილი,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროორექტორი პერსპექტიული განვითარების და მშენებლობის დარგში, დოცენტი.





მეუღლის პორტრეტი

ქეშმარიტი შემოქმედის სულის ცხრაკლიტულში შეჭრა უდიდესი განძის თანაზიარად გვხდის. სწორედ ასეთი თანაზიარობა გამოიწვია რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის ვახტანგ ონიანის გამოფენამ თბილისელებში.

საზოგადოებამ დაინახა ძლიერი ხელისა და თავისთავადი საჭრეთლის მჭონე მოქანდაკე და პოეტი-ფერმწერის გუმანით დაჯილდოებული გრაფიკოსი, შეიგრძნო მისი მამულიშვილური სიყვარულითა და სიამაყით ამაღლებული სული, ფერებში გაცხადებული სვანური ეპოსის სურნელი.

მან აისრულა დიდიხნის ნანატრი, სოფელ-სოფელ შეავროვა, ერთმანეთთან შეაჯერა და დაამუშავა „ბეთქილის“, „გივერგილისა“ და „ლადგერის“ ვარიანტები. ორი მათგანი, მისგანვე დასურათებული, უკვე წიგნებად გამოიცა.

მაგრამ ვახტანგ ონიანი მარტოოდენ ლეგენდებითა და თქმულებებით შეპყრობილი შემოქმედი როდია. იგი არანაკლები სიყვარულით გადმოსცემს სვანური ბუნების მკაცრ სილამაზეს, კუდმაკრატელა ღრუბლით გადაკვეთილ მწვერვალებს, მონადირულ ჰერიოკასა და იღლიას, კოშკების ლაშქრულ რიტმს, ვაჟკაცური ქართველი ტომის — თავისუფალი სვანების ბუნებას.

ვახტანგმა დაამკვიდრა სვანი ქალებისა და გოგონების, საერთოდ, ქართველი ქალის თავისებური კონტური-მანდილით, ანუ ურიბით შემოკვართული, ზოგჯერ ფრესკასავით გაცრეცილი, მონაზნური კდემითა და იდუმალი სევდით მოცული სახეები. ზოგ მათგანში მეტ-ნაკლები მსგავსებით ჩვენს გარშემო მყოფ ადამიანებსაც შეიცნობთ. გამოიკვეთა მისეული ღონიერი ფიგურა კოშკივით შეუვალი, მთასავით ამაყი ვაჟკაცისა და მერიკაცებისა. დალ-ქალღმერთისა, თანამედროვე ასულის იერი რომ დაჰკრავს.

თავისთავადობით გამოირჩევა ჟანრული სურათები, მათი გმირი ხშირად პატარა წითელპერანგა ბიჭიც არის, ხან უდარდელი, ხანაც ფიქრიანი; ბიჭი ხან თხებს მიუძღვის სალამურით, ხან დაბერებულ, დასაკლავად განწირულ ხარს ემშვიდობება, ხანაც დაღონებული, დაფიქრებული ჩამჯდარა დედის ფერხთით, ცხრა მთის სავალსაც დასდგომია, ჯოხის ცხენზე ნავარდობს, ხანაც ხის ძირას მდგომი შორიდან უთვალთვალებს წარმართულ სალოცავთან მავედრებელთ.

ის წითელპერანგა ბიჭი უთუოდ ავტორია, ავტორის ბავშვობა და ყრმობაა.

წითელპერანგა ბიჭი აქანდაკებდა და ხატავდა, რასაც ხედავდა, განიცდიდა, რასაც უამბობდნენ, ხატავდა ნახშირით, ცარცით, მელნით, ფერადი ფანქრებით, ხატავდა ლაშხური სახლის კედლებზე, ხის ნავრებზე, ფიქალზე, ქაღალდზე, რიყის ქვაზე... დღე და ღამ, მზისა და სანთლის შუქზე...

ერთხელ ქაღალდზე ჩამონაღვენთმა სანთლის ცრემლმა წითელპერანგა ბიჭიც აცრემლა; მაგრამ ბავშვში ჩასახლებულმა მხატვრის გუმანმა უკარნახა რაღაც სასიკეთო...

...ასე აზიარა შემთხვევითობამ საიდუმლოებას... ხატვის ასეთი ხერხი თვალდათვალ დაიხვეწა და იმდენად გათავისდა, რომ ონიანისეული „ცვილოვანი ხატები“ ათასში იცნობა და გამოირჩევა; „ხატი ცვილოვანი“ ეწოდებოდა ძველად ხატწერაში დამკვიდრებულ ხერხს — ენკაუსტიკას (სუფთა ცვილში გახსნილი საღებავებით წერა).

ცვილით შერბილებულ-შეზავებული ფერების გამა ხშირად გამოცანადაც გადაქცეულა მნახველთათვის, გრაფიკული ნამუშევარი იყო მათს წინაშე, თუ ფერწერული. საბედნიეროდ, ვახტანგს ფერწერის ხედვაც დაჰყოლია, რაც ქანდაკებაშიც იჩენს თავს. რუხ ბაზალტს კირქვა ენაცვლება, კირქვას — ყვითელი ტუფი, მას — შავად დაფერილი თაბაშირი ან მზისფერი ქვა.

საინტერესოდ იყენებს ქვის ფერსა და ფაქტურას, ზოგჯერ თვითონაც შეაფერადებს მას. დაღლილი „ადგილის დედა“ გულზეხელგადაჭდობილი მოხუცი, ბაბთიანი თუ ცრემლშეყინული გოგონა, კავკასიის მცველი ვაჟკაცი, „დალი“ შინაგანი მონოლოგით გვეხმიანებიან.

დრამატიზმით არის აღსავსე „მოხუცი და შვილიშვილი“, ანუ „ფესვები“, წარმავალისა და მომავლის სევდა-ნათელით. ვახტანგს მოსდგამს ძველი ხატმწერის სიფაქიზე, გულუბრყვილობა და უფრო ძველი, იქნებ ხეთი მოქანდაკეების შეუპოვრობა, სიმართლე, ტლანქი ქვის დამორჩილებისა და ამეტყველების უნარი. ეროვნულ ნიადაგში ღრმად ფესვგადგმულ ხელოვანს არ დაელევა სულის საზრდო და სათქმელი.

ადრინდელ ნახატებში აქვს ვარიაცია, მთას შეჭიდებული, მზისკენ ხელაპყრობილი კაცისა — ის მზისკენ მიმავალი კაცი მტკიცედ ადგას სვავლს.

ნანა ღვინეფაძე

ეი ასეთი ბიჭია!



იცნობდეთ, ეს ბუთხუზა, ჯანმრთელი ბიჭუკელა ბესიკ ქიტიაშვილია. იგი თბილისელია. დაიბადა 1960 წლის 25 ოქტომბერს, ახლა დედაქალაქის მე-12 საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლეა.

ბესიკი გულკეთილია, მეგობრული და მშვიდობისმოყვარე. მამამისი სერგო ქიტიაშვილი გაზის აპარატების ქარხანაში მუშაობს ოსტატ შემმოწმებლად, დედა კი № 7 სამკერვალო ფაბრიკაში — მკერავად. ბესიკს ჰყავს სამი წლით უმცროსი ძმა. ერთი სიტყვით ეს ბიჭი ისე ცხოვრობს, როგორც ათასობით მისი თანატოლი. ერთი კია — იგი ყველასაგან გამოირჩევა შეხედულებითა და ფიზიკური ძალით, ათი წლის ბავშვისათვის ფრიად უჩვეულო ძალას ავლენს. ერთხელ სახლში სრულიად შემთხვევით მამა აიყვანა ხელში და ოთახში გაატარ-გამოატარა, თუმცა მამას ამ ამბისათვის მაშინ განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია.

შემდეგ კიდევ ბევრჯერ გამოამუღვნა მეოთხეკლასელისათვის უჩვეულო ღონე. ბესიკი ახლა თავის უმცროს ძმასთან ერთად ვარჯიშობს. თანატოლებს კისერზე შეისვამს ხოლმე, ზოგჯერ ორსაც და ისე დაატარებს 70-80 კილოგრამ სიმძიმეს, თითქოს არაფერიაო.

როდესაც ბესიკს შევეკითხეთ, რა გიყვარს ყველაზე მეტადო, თანმიმდევრულად ჩამოთვალა: 1. თამაში, 2. ჭამა, 3. დედა, 4. მამა, 5. ძმა, 6. სკოლა, 7. სწავლა. 8. ამხანაგები.

აი ასეთი ბიჭია პატარა გოლიათი, ჩვენი ბესიკი.



სურათებზე: სწავლა; ვარჯიში და ღონის დემონსტრირება; — ცოტაც და მამის ხელი მაგიდას შეეხება.

სერგო თევზაძის ფოტო



მიზან-და-რეები...

მხატვრობაში ხელოვნების სიყვარული მემკვიდრეობით გადმოდის. საქართველოს დამსახურებული მხატვრის ვალერიან მიზანდარის დიდი პაპა ალიოზი პირველი პიანისტი იყო საქართველოში. მისმა ძმამ ფელიქსმა, მუსიკის ცნობილმა მასწავლებელმა აღზარდა ზაქარია ფალიაშვილი. ვალერიანის მამა, ლევან მიზანდარი ჩვენი საუკუნის დამდეგს თბილისის სამხედრო სასწავლებლის კაპელმაისტერად მუშაობდა.

მერე ესტაფეტა წინაპრებისაგან ვალერიანმა ჩაიბარა, მაგრამ ხელოვნების სულ სხვა სფეროს დაატყვევა ჭეშმარიტი შემოქმედის ნიჭი.

ძერწვა ბავშვობიდანვე უყვარდა. კარგადაც გამოსდიოდა ჩანაფიქრი. მისი ბუნებრივი მონაცემები თბილისის სამხატვრო აკადემიაში დაიხვეწა. ბედმა გაუღიმა ვალერიანს — დიდი ხელოვანი და შეუდარებელი პედაგოგი იაკობ ნიკოლაძე ზრდიდა მას მოქანდაკედ. მატერიალურადაც ეხმარებოდა ხელმოკლე სტუდენტს. წლების მანძილზე თავისი სათაყვანო პედაგოგის სახლში ცხოვრობდა, მისსავე სახელოსნოში დგამდა პირველ ნაბიჯებს დიდი ხელოვნებისაკენ.

იაკობ ნიკოლაძემ ახლად კურსდამთავრებული ვალერიანი ასისტენტად დაიტოვა აკადემიაში. იმ წელიწადს თბილისში, რუსთაველის გამზირზე მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მშენებლობა დაიწყეს და მიზანდარი ამ შენობის ფასადის მოჩუქურთმების ხელმძღვანელად დანიშნეს.

1934 წელს მონაწილეობდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სახვითი ხელოვნების გამოფენაზე. მისი შემოქმედება სერიოზული ფიქრისა და განსჯის საგანი გახდა. მალე ვალერიანი მშობლიურ ქუთაისში გადმოდის, იწყებს პედაგოგობას და მუშაობს საკუთარ პაწია სახელოსნოში.

გადის წლები. ვალერიან მიზანდარი მრავალ რესპუბლიკურ თუ საკავშირო გამოფენაზე მონაწილეობს. ჰყავს ნიჭის დამფასებლები, თაყვანისმცემლები, რომელთაც მოსწონთ ქვაში შესრულებული ფიგურა „უღელქვეშ“, ცნობილი ადამიანების სკულპტურული პორტრეტები, მოსწონთ „უკანასკნელი მეკურტნე“, „მაიაკოვსკი“, „კიკვიძე“...

1961 წელს მხატვართა კავშირის ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარეს ვალერიან მიზანდარს საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება მიენიჭა.

მოქანდაკე ახლა „თანამედროვეების სკულპტურული ფიგურების“ შექმნაზე მუშაობს. უკვე გააკეთა პოეტ ანდრო სისაურის, მწერალ გიორგი სამხარაძის, სცენარისტ რეზო გაბრიაძის, ხალხური ცეკვის ოსტატის დავით უშვერიძის, რეჟისორ თეიმურაზ ლორთქიფანიძის, მსახიობ აკაკი ვასაძის პორტრეტები.

როგორც ვთქვით, მიზანდარებში ხელოვნების სიყვარული მემკვიდრეობით გადმოდის. ჩვენი საზოგადოებრიობა კარგად იცნობს მოქანდაკე გივი მიზანდარს, რომელიც ვიეტნამში, უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტზე და შემდეგ კამბოჯაში მუშაობდა, სადაც თავისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენაც მოაწყო.

გივი მიზანდარი ახლა თბილისში ცხოვრობს, სამხატვრო აკადემიის პედაგოგია. მუშაობს დამოუკიდებელ, საინტერესო თემებზე. ახალგაზრდა შემოქმედი ვალერიან მიზანდარის უფროსი ვაჟია.

მართლაც რომ კეცი გვარზე ხტის...

ჯემალ ქურხული

იენის უნივერსიტეტის გამოცემლობის თხოვნით

ქალაქ იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებულში „ენა და საზოგადოება“ 1970 წლის ბოლო გამოშვებაში სხვა უცხოელ მკვლევართა ნაშრომებთან ერთად გამოქვეყნებულია ოთხი ქართველი მეცნიერის შრომები. კრებული ეძღვნება ცნობილი გერმანელი მეცნიერის პროფესორ გერტრუდ პეჩის დაბადების 60 წლისთავს.

„გერტრუდ პეჩი — როგორც ქართველოლოგი“ — ასეთი სათაური აქვს კრებულში გამოქვეყნებულ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის რევაზ ბარამიძის წერილს. ავტორი განიხილავს ქართველოლოგიური კვლევის მოკლე ისტორიას უცხოეთში და პეჩის წვლილსა და დამსახურებას ამ საქმეში.

კრებულში გამოქვეყნებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, იენის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის აკაკი შანიძის ნაშრომი, რომელშიც, გარდა მნიშვნელოვანი ლინგვისტური შედეგებისა, ნათელს ჰფენს ქართველების მეზობელ ერებთან კულტურული ურთიერთობის საკითხებს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის არნოლდ ჩიქობავას გამოკვლევაში დასმულია რთული ზოგადსაენათმეცნიერო პრობლემები, რასაც ავტორის აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიული ერთიანობის ამოსაცნობად, ისე სინტაქსის თანამედროვე თეორიის თვალსაზრისითაც.

ახალგაზრდა მეცნიერი გურამ რამიშვილი, რომელმაც ამას წინათ ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი დაიცვა იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტში, თავის წერილში იძლევა მე-20 საუკუნის ლინგვისტიკის ფუძემდებლის სოსიურას მოძღვრების ახლებურ გაგებას.

ინგლისელის თვალით

ამას წინათ საბჭოთა კავშირში იმოგზაურა ინგლისელმა ჟურნალისტმა პიტერ ზინკინმა. ამ მოგზაურობის შესახებ მან გამოაქვეყნა ვრცელი რეპორტაჟი, რომელშიც მნიშვნელოვანი ნაწილი დათმობილი აქვს ჩვენს რესპუბლიკაში მიღებულ შთაბეჭდილებებს.

გთავაზობთ ზინკინის რეპორტაჟის იმ ნაწილს, რომელიც თბილისს ეხება.

თბილისმა თბილისურად თბილად მიგვიღო... როდესაც ქართველები სუფრას შემოუსხდებიან დღესასწაულის აღსანიშნავად, ან საპატიო სტუმრის შესახვედრად, ჩვეულების თანახმად თამადას ირჩევენ, ინგლისურად სადღეგრძელოების ოსტატს ან სუფრის თავს. ასე მოხდა ჩვენი ვიზიტის დროსაც, როდესაც საშუალება მოგვეცა დავტკბარიყავით სახელგანთქმული ქართული სტუმართმოყვარეობით თბილისის მახლობლად მდებარე საბჭოთა მეურნეობაში. ხელოვნების დონემდე აყვანილი ქართული კულინარია ბევრ უცხოელს უქია. ეროვნული კერძებით სავსე მაგიდას თანამესუფრეთა მჭევრმეტყველური სადღეგრძელოები უხდებოდა. დიდებულია ქართველთა პოლიფონიური სიმღერები...

საბჭოთა მეურნეობა, სადაც ჩვენ სტუმრად ყოფნა მოგვიხდა, რესპუბლიკის ჯანმრთელი ცხოვრების მძლავრი პულსის ნაწილია. მეურნეობაში დაახლოებით 1.250 აკრი ფართობი ზვრებს უჭირავს, სადაც წარმოდგენილია ყურძნის ძვირფასი სასუფრე და საღვინე ჯიშები. აქ მოყვანილი ხილი ხალხს ხმარდება. მეურნეობაში მოყვანილი ზოგიერთი ჯიშის ყურძენი საბჭოთა შამპანურის დასამზადებლად იგზავნება. დღეს ექსპერტებს მათ ღირსებებში ეჭვი აღარ ეპარებათ.

თბილისის გარეუბანში გავეცანით ღვინის ერთ-ერთი ქარხნის მუშაობას. აქ მზადდება ღვინოები, რომლებიც მოითხოვს ორი წლის ფრთხილ და ფაქიზ მოპყრობას. მაგრამ, მეორე ხხრივ, პროდუქციის დამზადებას საკუთარი, დამაჩქარებელი მეთოდით ქარხნის მუშები სულ ოცდახუთ დღეს ანდომებენ. ამ მეთოდს ქართველებს ამერიკელებიც დაესესხებიან.

თბილისის ჩაის სახლში ჭაშნიკი გავუსინჯეთ საქართველოს მიწაზე მოყვანილ სხვადასხვაგვარად დამზადებულ ჩაის. ამავე მაგიდასთან ბრიტანელი საქმოსნები შეთანხმდნენ ხუთი ათასი ტონა ქართული ჩაის შესყიდვის თაობაზე.

განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს სიცოცხლით სავსე თბილისი. მსოფლიოში ბევრს ვერ შეხვდებით ასე ხანდაზმულ (იგი 1500 წლისაა), მაგრამ მარად ახალგაზრდა ქალაქს. დედაქალაქში, როგორც იტყვიან, დუღს კულტურული ცხოვრება: მეცნიერებათა აკადემია, ორასი სამეცნიერო დაწესებულება, თვრამეტი უმაღლესი სასწავლებელი, მათ შორის უნივერსიტეტი, ოპერა, დრამატული თეატრები, კონსერვატორია და სხვა კულტურული და საგანმანათლებლო დაწესებულებები...

დედაქალაქის მრავალ ღირსებათა შორის უნდა აღინიშნოს ძალიან ღრმად გაყვანილი მეტროპოლიტენი. ეს სწრაფი და კომფორტული ტრანსპორტი მგზავრს მხოლოდ მცირე უჯდება ყველა მიმართულებით და ნებისმიერ მანძილზე...

ვესტუმრეთ ტელესტუდიას. ჩვენთვის სიურპრიზი იყო ფერადი ტელეგადაცემები...

კიდევ ბევრი შეიძლებოდა დაწერილიყო, თუნდაც ამ ერთთ ხანმოკლე ვიზიტისა და ძალზე გადატვირთული პროგრამის მიხედვით, სამწუხაროდ, მინიმუმიც ვერ ვნახეთ იმ ზღაპრული საქართველოსი, რომლის შესახებაც თხრობას ამ ქვეყანაში მყოფი ბევრი უცხოელი ასე იწყებს: „საქართველო მზისა და გაზაფხულის, მარადიული თოვლით დაფარული მთებისა და ლაჟვარდოვანი ზღვის სანაპიროს, სიმღერებისა, მითებისა და ლეგენდების ქვეყანაა“.

საქართველო ალჟირში

ახლახან ალჟირში გაიხსნა ფოტოგამოფენა „საბჭოთა საქართველოს 50 წელი“.

ალჟირელები დიდი ინტერესით შეხვდნენ ექსპოზიციას, რომელიც ფართოდ აშუქებს ქართველი ხალხის მიღწევებს ნახევარი საუკუნის მანძილზე მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მეცნიერებაში, კულტურასა და სპორტში.

ინტერვიუ... ოსტა ბენდერთან

ფილმის გადასაღებად ყველაფერი მზად იყო — არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში თორმეტის ნაცვლად 48 სკამი დაამზადეს! მონიშნეს ფილმის გადაღების ადგილები, შეარჩიეს ყველა მსახიობი, გარდა „დიდი კომბინატორის“ — ოსტაპ ბენდერისა.

ცხადია, უხერხულია დაწუნებულ მსახიობთა გვარების დასახელება, მაგრამ ოსტაპ ბენდერის სახის შექმნაზე ხელოვნების ისეთი ოსტატები აცხადებდნენ პრეტენზიას, რომ ძნელია გაუძლო ცდუნებას და არ აღნიშნო, რა დიდ სამსახიობო პაექრობაში გაიმარჯვა საქართველოს სახალხო არტისტმა არჩილ გომიაშვილმა. მისეულ კაზაკოვი და ანდრეი მირონოვი, ვლადიმერ ვისოცკი და ნიკიტა მიხალკოვი, ვლადიმერ ბასოვი და როდიონ ნახაპეტოვი, ალექსანდრე ბელიავსკი და ევგენი ევსტიგნეევი — აი მცირე ნაწილი იმ ცნობილი მსახიობებისა, რომლებიც შესარჩევ ტურნირში ცდილობდნენ „მორგებოდნენ“ ოსტაპ ბენდერის სახეს. იყო შემთხვევები, როდესაც კიდეც გადაწყდა ამა თუ იმ მსახიობის ბედი, გაზეთებშიც დაიწერა — ოსტაპ ბენდერის როლზე ესა და ეს მსახიობია დამტკიცებულიო, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ იწყებოდა ახალი ოსტაპის ძებნა... ჩემს სიცოცხლეში არ გამისინჯავს ამდენი მსახიობი ერთ როლზეო, ამბობდა ფილმის რეჟისორი ლეონიდ გაიდაი, როცა 22-ე პრეტენდენტს იწუნებდა. ოცდაცამეტმა კი „კონკურსგარეშე“ გაიმარჯვა — ეს არჩილ გომიაშვილი იყო.

ილია ილფისა და ევგენი პეტროვის „12 სკამი“ იმდენად ცნობილი და პოპულარულია, რომ ზედმეტად მიგვაჩნია მისი შინაარსის მოყოლა. ფილმს იღებს რეჟისორი ლეონიდ გაიდაი „მოსფილმის“ სტუდიაში. მასში მონაწილეობენ ცნობილი მსახიობები სერგეი ფილიპოვი, მიხეილ პუგოვკინი, ანალგაზრდა მსახიობი ნატალია ვორობიოვა, ნატალია კრაჩკოვსკაია, იური ნიკულინი, გიორგი ვიცინი, ვლადიმერ ეტუში, რინა ზელიონაია და სხვები.

ფილმზე, და განსაკუთრებით მთავარი როლის შემსრულებელზე არჩილ გომიაშვილზე, ძალზე ბევრი დაიწერა საკავშირო თუ რესპუბლიკურ გაზეთებში. და აი პრემიერამდე ერთი თვით ადრე (ფილმი ეკრანებზე აპრილის შუა რიცხვებში გამოვა) მსახიობი რედაქციაში მოვიწვიეთ. იგი ჩვენთან სურათებით, გაზეთებითა და ჟურნალებით „შეიარაღებული“ მოვიდა და გვთხოვა, რადგან ამ ფილმზე და, კერძოდ, ჩემზე ბევრი დაიწერა, ამჯერად მანც გამათავისუფლეთ ერთისა და იმავეს გამეორებისაგან, ყველა თქვენი შეკითხვის პასუხს აქ იპოვითო. ჩვენც დავკმაყოფილეთ მისი თხოვნა. დღევანდელ საუბარში „სამშობლოს“ კორესპონდენტს ლია მიქაძეს არჩილ გომიაშვილი პასუხობს გაზეთების საშუალებით:

● როგორ მოხდა თქვენი, როგორც ოსტაპ ბენდერის, აღმოჩენა?

— სულ უბრალოდ. როცა სხვა მსახიობი დაამტკიცეს ოსტაპის როლზე და ფილმის გადაღება დაიწყო, შემოქმედებითმა კოლექტივმა მოინდომა თეფშის გატეხა „საბედნიეროდ“, როგორც ეს კინოშია მიღებული. მაგრამ თეფში არ გატყდა. მაშინ მე ვთქვი: ეს ბედია. თეფში მაშინ გატყდება, როცა არჩილ გომიაშვილს მოიწვევთ-მეთქი...

● როდის გაიგეთ, რომ თქვენ „დაგრჩათ“ ოსტაპი?

— სასინჯი ფირის გადაღებამდე უკვე ვიგრძენი ჩემი გამარჯვება. მოსკოვში რომ ჩავედი, აეროპორტში „მოსფილმის“ მანქანა დამხვდა. მანქანასთან თავი მოეყარათ სხვა შოფრებსაც. ჩემი შოფერი რაღაცას გატაცებით უყვებოდა მათ. რომ დამინახეს, უცებ გაჩუმდნენ და თვალმოუშორებლად შემომაჩერდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ერთმა თქვა: აი ეს კი გამოდგება, ჰგავსო.

● ბატონო არჩილ, ჩვენმა მკითხველებმა თქვენს შესახებ ძალზე ცოტა იციან. გთხოვთ, როგორც არჩილ გომიაშვილმა და როგორც ოსტაპ ბენდერმა, გვიამბოთ რაიმე საკუთარი ბიოგრაფიიდან.

— ჯერ ვცდილობდი გამეყიდა დაუხატავი სურათები და თბილისის სამხატვრო აკადემიასთან არსებულ სამხატვრო სკოლაშიც შევედი. ჩემგან ვან გოგი არ გამოვიდა და პროფესიის შეცვლა — მსახიობად გახდომა გადავწყვიტე. მაგრამ ეს წამოწყებაც ჩაიფუშა — თეატრალურ სტუდიაში კეთილმა ადამიანებმა მირჩიეს რაიმე სხვა სასარგებლო საქმისათის მომეკიდა ხელი. და მხოლოდ რეჟისორ გიორგი ტოვსტონოგოვთან შეხვედრამ გადაწყვიტა ჩემი ბედი — დღეს მსახიობი ვარ. დიდხანს ვიმუშავე თბილისის გრიბოედოვის სახელობის თეატრში. სწორედ აქ შევხვდი პირველად ნამდვილ ოსტაპ ბენდერს, როცა ილფისა და პეტროვის „ოქროს კერპის“ მიხედვით დავდგი კომპოზიცია „ოსტაპ ბენდერი ესტრადაზე“. ეს იყო ერთი მსახიობის თეატრი, სადაც მე, ოსტაპის გარდა, კიდევ ექვს როლს ვასრულებდი. ეს კომპოზიცია ორასჯერ ვითამაშე.

ახლა კი გადამღებ მოედანზე მოვხვდი. ჩემთვის, ესე იგი ოსტაპისათვის, კინოოპერაცია „12 სკამი“ შესანიშნავი შესაძლებლობაა იმისა, რომ ბოლოს და ბოლოს ფულის შოვნა პატიოსანი შრომით დავიწყო.

● ოსტაპის როლს გევრი პრეტენდენტი ჰყავდა, როგორ შეძელით გაგემარჯვათ კონკურსში? დაგეხმარათ რომელიმე „გენიალური კომბინაციამ?“

— რასაკვირველია. უბრალოდ... არ ვმონაწილეობდი კონკურსში. მივედი სტუდიაში, გამიკეთეს გრიმი, დავიწყე გადაღება. გამოვიდა. ეს ყველაფერი ბედნიერი შემთხვევა იყო მხოლოდ — ოსტაპამაც ხომ შემთხვევით მიაგნო ქალბატონ პეტუხოვას განძის კვალს.

● ყველაზე ძნელი რომელი სცენა იყო გადაღებისას?

— ყველა. ხომ გახსოვთ — ბენდერი თვითონაც თამაშობს სხვას. მისი როლის შესრულება განსაკუთრებით ძნელია იმიტომ, რომ დიდი მსახიობი უნდა ითამაშო.

● თქვენ ამბობთ, ძალიან შევეთვისე ოსტაპ ბენდერსო... თუ ასეა, გვითხარით, რაში დახარჯავდა ოსტაპი 70 ათას მანეთს?

— რასაკვირველია, მას შეეძლო მოეთხოვა: „შემახვიეთ ერთი ტროლეიბუსი. ნაღდ ფულს ვიხდი“. მაგრამ რად უნდა ოსტაპს ტროლეიბუსი? მისთვის ცხოვრებაში ყველაზე მთავარია აუდიტორია, სადაც შეიძლება გონიერებითა და ნიჭიერებით იბრწყინო. ოსტაპი შეიძენდა წყვილ კოსტიუმს, შტიბლეტებს და სტუმრად ივლიდა „კარგ ოჯახებში“. მანდილოსნებს მდიდრულ საჩუქრებს მიართმევდა, მამაკაცებთან კოსმოსური მასშტაბის საუბარს გამართავდა, ცოტა რამეს მოუყვებოდა საკუთარ თავზე ეფექტის მოსახდენად. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ყველაფერს გაანიავებდა და ისევ უკაპეიკოდ დაიწყებდა ცხოვრებას, ისე რომ, ამაზე სულაც არ იდარდებდა.

● გვითხარით, არჩილ — ოსტაპ, როგორ გადაურჩით მოღალატე ვურობინოვის სასიკვდილო დარტყმას?

— ძალიან უბრალოდ. ჩემი გარდაცვალებისას მეძინა. ხომ გახსოვთ, ვორობინოვმა ოსტაპი ღამით, მძინარე დაჭრა. მე, დაძაბული სამუშაო დღით მოთენთილს, იუპიტერების შუქით გამთბარს, მართლაც დამეძინა გადაღებისას. როდესაც რეჟისორმა გაიდაიმ კარგად შემანჯღრია, ბოდიში მოვიხადე და ვუთხარი, გადაღებისთვის მზადა ვარ-მეთქი. მაგრამ გამოირკვა, თურმე უკვე ყველაფერი დამთავრებული იყო.

— წადი შინ, — მითხრა გაიდაიმ, — შენ უკვე დაგკლეს.

ასე გადავრჩი ცოცხალი.

● იძნებ გაიხსენოთ, რა გაიფიქრეთ პირველად, როცა სასიკვდილო გადაღებაზე მიგიწვიეს?

— უნებურად ოსტაპის სიტყვები — „ახლა იდიოტის ოცნება“...


● რას იტყვით, კმაყოფილი ხართ ფილმში თქვენი მუშაობით?

— ბევრ ადგილს სიამოვნებით გადავიღებდი ხელახლა, ისე კი... ჯერ მიჭირს რამის თქმა.

● და ბოლოს: რას ეტყოდით ჩვენი გაზეთის მკითხველებს?

— როგორც ოსტაპი, — იცოდეს ყველამ, პარადს მე ვსარდლობ; როგორც არჩილ გომიაშვილი, ვისურვებდი ჩემს შემოქმედებას მათთვის სიამოვნება მიენიჭებინოს.





სურათებზე: არჩილ გომიაშვილი ოსტაპ ბენდერის როლში; სერგეი ფილიპოვი და არჩილ გომიაშვილი მორიგ გადაღებაზე.

ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრები

ჰუგო ჰუპერტი



ჰუგო ჰუპერტის სახელი საქართველოში ახლა თითქმის ყოველმა მოსწავლემ იცის.

ავსტრიელ მწერალსა და ესეისტს, თეატრალურ და ლიტერატურულ კრიტიკოსს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული კულტურის წინაშე.

იგი დაიბადა 1902 წლის 5 ივნისს ბილიტცში. 1925 წელს დაამთავრა ვენის უნივერსიტეტი და მიენიჭა საზოგადოებრივ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. მომდევნო წელს პარიზში სორბონის უნივერსიტეტში აგრძელებს მუშაობას საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში. საბჭოთა კავშირში პირველად 1928 წელს ჩამოვიდა, ხოლო 1932 წლიდან დიდი ხნით რჩება ჩვენში. 1935 წელს დაამთავრა მოსკოვის წითელი პროფესურის ინსტიტუტი ლიტერატურისმცოდნეობის განხრით. მეორე მსოფლიო ომის დროს ჰუპერტი წითელი არმიის ნაწილებთან ერთად იბრძოდა ბუდაპეშტისა და ვენის განთავისუფლებისათვის.

დამთავრდა ომი და ჰუპერტი სამუდამოდ დამკვიდრდა ავსტრიაში.

ჰუგო ჰუპერტის ლიტერატურული მოღვაწეობა ძალზე მრავალფეროვანია: მას ეკუთვნის ნარკვევების კრებულები — „ციმბირის ლაშქარი“ და „დროშები და ფრთები“. ამ უკანასკნელში დახატა საბჭოთა ქვეყნის ახალი ცხოვრების სურათები; არის მრავალი ლექსის ავტორი, გერმანულად თარგმნა გორკის, მაიაკოვსკის, პავლენკოს, სიმონოვისა და სხვათა ქმნილებები.

ჰუპერტის სახელი საქართველოში დაახლოებით 50-იან წლებში გახდა ცნობილი, როდესაც პირველად ჩამოვიდა „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ ენაზე სათარგმნელად. პოემაზე მუშაობისას ჩვენი სტუმარი გაეცნო ქართულ კულტურას, შეხვდა მეცნიერებსა და მწერლებს, მოიარა მუზეუმები, შეისწავლა საარქივო მასალები, გეოგრაფიული ლიტერატურა, კულტურის ძეგლები, განსაკუთრებით რუსთაველის დროის ქართული ფრესკული მხატვრობის დოკუმენტები. ამ ბრწყინვალე ეპოქის მატერიალური კულტურის რელიკვიები.

ქართულმა შთაბეჭდილებებმა ჰუპერტს მხოლოდ შოთას პოემა როდი ათარგმნინა. მან დაწერა ლირიკული ლექსების მთელი ტომი — „ქართველი მოგზაურის კვერთხი“ (1954), რომელშიც დიდი პოეტური შთაგონებით უმღერა ქართველ ხალხს. ერთი წლის შემდეგ, 1955 წელს, ბერლინში ცალკე წიგნად გამოსცა შოთას პოემა, რომლის სხვადასხვა თავს ადრევე აქვეყნებდა ავსტრიისა და გერმანიის პრესაში.

ჰუპერტი შეეცადა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი აეყვანა მხატვრული ოსტატობის ისეთ სიმაღლემდე, რომ გერმანული ენის მცოდნე ევროპელს ეგრძნო ამ ნაწარმოების სიდიადე, ნაწარმოებისა, რომელიც თვით მთარგმნელის შეფასებით, დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ ბადალია. მართლაც, ევროპელმა მკითხველმა რუსთაველის პოემის ჰუპერტისეულ თარგმანს საუკეთესო შეფასება მისცა, რის გამოც მთარგმნელს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მინისტრის პრემია მიენიჭა. დაჯილდოების სიგელში ნათქვამია: „ჰუგო ჰუპერტმა შეძლო თავისი ბრწყინვალე ხატოვანი ენით არა მარტო ტექსტუალური სიზუსტით გადმოეცა ამ დიდი საგმირო პოემის შინაარსი, არამედ მიაღწია იმას, რომ გასაოცარი სისრულით გადმოსცა ამ ნაწარმოების თავისებური ფორმა — რაც ესოდენ უჩვეულოა და უცნაურიც კი გერმანული ენისათვის“.

თარგმნის პროცესში ჰუპერტმა მეცნიერულად შეისწავლა პოემა და თავისი შენიშვნები და შეხედულებანი გამოთქვა წიგნის წინასიტყვაობაში — „რუსთაველი და მისი პოემა“, აგრეთვე „ბიბლიოგრაფიულ დანართში“ და საქართველოსადმი მიძღვნილი პოეტური კრებულის წინასიტყვაობაში.

საქართველო უძველესი დროიდან, — აღნიშნავს ჰუპერტი, — პოეტური სულისკვეთების ადამიანთა სამშობლოა ამ სიტყვის ორმაგი გაგებით. პირველი — სამშობლო თვითმყოფადი და ძლიერი ეროვნული ლირიკისა, და მეორე — ქვეყანა, რომელიც თავის ძლიერი მთავრობების წყალობით ანდამატივით იზიდავს და ამოქმედებს უცხო მხარეთა პოეტურ შვილებს.

ჰუპერტი ხაზგასმით აღნიშნავს, რა დიდი როლი შეასრულა საქართველომ გერმანულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. იგი მსჯელობს მითზე პრომეთეოსის შესახებ და დასძენს, რომ ელინელებმა ეს მითი ისესხეს ძველი ქართული თქმულებების ციკლიდან ამირანის შესახებ და რომ არგონავტებზე არსებულ თქმულებათა სამშობლოც სწორედ საქართველოა. თქმულება ამირანზე იმას ადასტურებს, რომ საქართველოში უხსოვარი დროიდან იცოდნენ ლითონის დამუშავება.

ჰუპერტის შეფასებით შოთას პოემა მსოფლიო ლიტერატურის შედევრია, აღმოსავლეთის ადრე რენესანსის საუკეთესო ქმნილებაა და უაღრესად სათუთი ადამიანური სულისკვეთებით აღსავსე ნაწარმოებია. მისი აზრით, რუსთაველი ევროპული რენესანსის გენიალური წინამორბედია, დიდი ჰუმანისტი და მსოფლიო კლასიკოსი. რუსთაველი იყო გარდამავალი ხანის ხელოვანი და აღმოსავლეთის დანტე, იყო პიროვნება, რომელმაც საკუთარი ოპოზიციური შეხედულებებისა და ჰუმანური მსოფლმხედველობის გამო გაბატონებული ფენების უკმაყოფილება დაიმსახურაო.

ლექსების წიგნის — „ქართველი მოგზაურის კვერთხი“ — წინასიტყვაობაში პოეტი გვამცნობს: „ამ წიგნში საქართველო გველაპარაკება გერმანულ ენაზე. აიღეთ ხელში იგი და იმოგზაურეთ არა ფანტაზიის სამეფოში, არამედ ხელშესახები ზღაპრული სილამაზის ქვეყანაში, რომელიც ერთერთი პირველია საბჭოთა რესპუბლიკების დიდ კავშირში“.

ჰუპერტი საქართველოს პატრიოტია. ჩვენმა ქვეყანამ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ცხოვრების უძნელეს ჟამს გადაარჩინა იგი როგორც პოეტი. სანამ ცოცხალი ვარ, — წერდა ჰუპერტი, — შევეცდები საქართველოსა და ქართველებს ამაგი გადავუხადო.

ერმა ინტერნაციონალიზმის გრძნობით გამსჭვალულ კრებულში განსაკუთრებით გამოირჩევა ლექსები: „ვარძია“, „რუსთაველის გამზირზე“, „ნარიყალას ციხე“, „მამადავითი“, „ბიჭი სოსო კითხულობს რუსთაველს“, „ბათუმის ღამე“, „რუსთავის ქარხანა“, „ალაზნის ველზე“, „მაქსიმ გორკი თბილისში“ და სხვა.

ჰუგო ჰუპერტს ქართველი საზოგადოება დიდად აფასებს. თბილისში რამდენჯერმე გაიმართა მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო, სადაც ბევრი თბილი სიტყვა ითქვა ჩვენი ერისა და კულტურის დიდ მოამაგეზე.

პროფესორი
შოთა რევიშვილი

მე გხედავთ თქვენ!..

— დაჯექი, გოგო, და ნუ იყურები სადღაც იქით, აქ მიყურე თვალებში! — უთხრა უცებ ხატიას. ხატია დაჯდა, ოღონდ მის ლამაზ, დიდრონ ცისფერ თვალებს ღიმილი არ მოშორებია... კლასში უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. მასწავლებელმა იგრძნო რაღაც უადგილო რომ თქვა, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო, რაში იყო საქმე.

— რა მოხდა, ბავშვებო? — იკითხა გაბზარული ხმით. ჩვენ ვდუმდით.

— მე ვერ ვხედავ, მასწავლებელო! — თქვა ხატიამ და წამოდგა.

— დამცინით? — ჩაუწყდა ხმა მასწავლებელს.

— არა, მასწავლებელო, მართლა ვერ ვხედავ — თქვა ისევ ხატიამ და დაჯდა. მასწავლებელი ადგა, ახლოს მივიდა ხატიასთან, დიდხანს უყურა თვალებში. ხატია დინჯად აფახულებდა წამწამებს და იღიმებოდა...

— სულ ვერაფერს ხედავ, ბიძიკო?

— მზეს ვხედავ, მასწავლებელო. ექიმმა უთხრა მამას ბათუმში, თუ მზეს ხედავს, სინათლეს დავუბრუნებო.

— კი დაგიბრუნებს, ბიძიკო, კი. მეც დავბრმავდი ხასანის ტბასთან. ვერაფერს ვხედავდი.

— მზეს ხედავდით, მასწავლებელო? — ჰკითხა ახლა ხატიამ.

— მზეს ვხედავდი და დამიბრუნეს სინათლე...

— აბა, მეც ვხედავ მზეს...

ნოდარ დუმბაძე,
„მე ვხედავ მზეს“.

— მართლა ხედავენ უსინათლონი მზეს? — ვეკითხებით საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გიორგი ტარსაიძის სახელობის თვალის სნეულებათა კლინიკური საავადმყოფოს მთავარ ექიმს გივი თოფურიას.

— ნოდარ დუმბაძე მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატია, ამბობს ბატონი გივი. — მან პოეტურად შესანიშნავად თქვა ის, რასაც ჩვენ, ექიმები, უბრალო მოკვდავთა ენაზე „შუქის შეგრძნებას“ ვეძახით.

— და თუ აქვს ეს შეგრძნება, აუცილებლად აეხილება უსინათლოს თვალი?

— როგორ გითხრათ... გააჩნია, რა მიზეზით არის გამოწვეული უსინათლობა. მიზეზი კი ბევრზე ბევრია...

— ბატონო გივი, რა კეთდება ჩვენს რესპუბლიკაში იმისათვის, რომ უსინათლომ მართლა დაინახოს მზე?

— ძალზე ბევრი. მაგრამ დღეს მკურნალობის მეთოდებზე კი ნუ ვისაუბრებთ. თქვენი გაზეთის მკითხველებს მოვუთხროთ იმ უნიკალური საავადმყოფოს შესახებ, რომელიც თბილისის ერთ-ერთ ულამაზეს რაიონში, კრწანისში შენდება.

ამ საავადმყოფოს აგების აზრი რამდენიმე წლის წინათ წამოჭრა საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმმა. მანვე იკისრა ყველა ხარჯის გაწევა. რესპუბლიკის თვალის სნეულებათა საუკეთესო სპეციალისტების კონსულტაციით დამუშავდა პროექტი. მისი ავტორი და მთავარი არქიტექტორია ამირან ბახტაძე, მთავარი ინჟინერ-კონსტრუქტორი — შალვა გაზაშვილი.

საავადმყოფოს კომპლექსში შედის 10-სართულიანი მთავარი კორპუსი, ორსართულიანი პოლიკლინიკა, კვების ბლოკი, სატრანსფორმატორო პუნქტი, შადრევნიანი აუზი.

პირველ სართულზე განლაგდება ადმინისტრაცია, ლაბორატორია, საერთო მიმღები და ბავშვთა მიმღები განყოფილებები, აქვე იქნება ბიბლიოთეკა და მუზეუმი, რომელიც დაინტერესებულ პირთ გააცნობს ქართული ოფთალმოლოგიის განვითარების ისტორიას.

ბავშვთა განყოფილება 60 საწოლისათვის არის გათვალისწინებული. პატარა პაციენტებს ექნებათ აგრეთვე სასადილო და სათამაშო ოთახები. დედებისათვის ცალკე იქნება გამოყოფილი საძილე და დასასვენებელი ოთახები.

საავადმყოფოში იმუშავებს თერაპიული, ქირურგიული, ტრავმატოლოგიური და სხვა განყოფილებანი. პალატები მხოლოდ 1 და 2 საწოლისათვის არის გათვალისწინებული. პალატებს ექნებათ საკუთარი სანიტარული კვანძი, აბაზანა. ყოველ სართულზე მოეწყობა პროფესორის, დოცენტის, ორდინატორის, ექიმ-ოფთალმოლოგის კაბინეტები, სალექციო ოთახები. საავადმყოფოს ექნება ექსპრეს-ლაბორატორია სასწრაფო ანალიზისათვის და ფოტოლაბორატორია.

სტაციონარი ორ სექციად იქნება გაყოფილი ცენტრალური სატრანსპორტო კვანძით. აქვეა დაპროექტებული „საოპერაციო ლიფტი“.

სარდაფში მოთავსდება ცენტრალური სასტერილიზაციო განყოფილება. ცალკეა გამოყოფილი კვების ბლოკი.

მთავარ კორპუსს პოლიკლინიკა დახურული დერეფნით შეუერთდება. პოლიკლინიკაში იქნება რენტგენოლოგიური განყოფილება, აფთიაქი. მეორე სართულზე კი მოთავსდება დამის სანატორიუმი, სადაც ავადმყოფები დაისვენებენ და იმკურნალებენ სამუშაოდან მოუწყვეტლად.

თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ ამ კომბინატში ავადმყოფებს შეეძლებათ გამოიყენონ „სამძებრო სივნალიზაცია“ — ღილაკზე თითის დაჭერით აპარატი „მოძებნის“ სასურველ პირს, რომელიც ამ მომენტში საავადმყოფოს რომელსამე სართულზე იქნება. შენობის სახურავზე მოეწყობა აეროარიუმი და სოლარიუმი დეკორატიული ბაღით.

ამფითეატრის ტიპის საკონფერენციო დარბაზი 250 მსმენელისათვის არის გათვალისწინებული. კინოპატრატების გარდა, აქვე დაიდგმება ტელეეკრანი, რომელიც საოპერაციო ოთახებს დაუკავშირდება, ისე რომ, მსურველებს შეეძლებათ თვალი ადევნონ ოპერაციის მსვლელობას. დარბაზის კედელს დაამშვენებს მხატვარ ლევან ცუცქირიძის პანო.


შენობა მოპირკეთდება მარმარილოთი, ეკალარისა და ბოლნისის ქვებით, ბაზალტით. ყრუ კედლებზე გაკეთდება მოქანდაკე ვახტანგ ჭუმბურიძის ბრინჯაოს დიდი ბარელიეფი — „ქალიშვილი მზით სელში“.

— და ისევ მზე...

— რასაკვირველია. ეს არის მთავარი მიზანი — ეს უნიკალური საავადმყოფოც ხომ ამიტომ შენდება. ყველა ჩვენი ავადმყოფი უნდა განიკურნოს, დაინახოს სინათლე, მზე, მათაც, როგორც ნოდარ დუმბაძის რომანის გმირს, ხატიას, უნდა შეეძლოთ თქმა:

„— ეს მე ვარ, ხალხო, მე გხედავთ თქვენ!“...

საუბარი ჩაიწერა
ლია ჩიქოვანმა



აი ასეთი იქნება თვალის სნეულებათა ახალი კლინიკა.

ფშავ-ხევსური პოეზია

„ხევსურეთი მელექსეობით ცნობილი კუთხეა. მეც, როგორც ხევსურს, ხალხური პოეზიის სიყვარული ბავშვობიდანვე დამყვა“, — ამ სიტყვებით იწყება ალექსი ოჩიაურის წინასიტყვაობა, რომელსაც შეუკრებია ხევსურული და ფშაური ხალხური პოეზიის ნიმუშები. ეს ლექსები შევიდა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ გამოცემულ წიგნში „ფშავ-ხევსური პოეზია“. მასში დაბეჭდილია თითქმის ყველა ჟანრის ნაწარმოები, საგმირო და საისტორიო, სატრფიალო, თქმულებები, გალექსება, აკვნის სიმღერები და სხვა მრავალი.

წიგნს დართული აქვს „მთქმელები და განმარტებანი“ და „ზოგიერთი სიტყვის განმარტება“.

კრებულში შესული ლექსების ძირითადი ნაწილი დღემდე სრულიად უცნობია, ხოლო ნაწილი გამოქვეყნებულ ლექსთა ვარიანტული სახესხვაობაა.

ამ წიგნით ქართული ხალხური პოეზიის მოყვარულები კიდევ ერთ საინტერესო კრებულს გაეცნობიან.

სპორტის კალათბურთისათვის დაბადებული



„მსოფლიოში, ვლადიმერ უგრეხელიძის გარდა, არ მეგულება მეორე სპორტსმენი, რომელიც ბუნებისაგან ასე უხვად იყოს დაჯილდოებული კალათბურთელისათვის საჭირო მონაცემებით“ — საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელის ალექსანდრე გომელსკის ხუთიოდე წლის წინათ ნათქვამი ეს სიტყვები მინდა დედააზრად გავიყვეს ჩემს ნაამბობს ქართველ კალათბურთელთა ერთ-ერთ ბრწყინვალე წარმომადგენელზე, რადგანაც თავისი განუმეორებელი, ლამაზი თამაშის ბევრი საიდუმლოება თვით ვლადიმერისთვისაც ამოუცნობია და მას ბუნების სიკეთეს მიაწერს. ეს რომ ასეა, მოვიყვან მაგალითს. როდესაც ვლადიმერი ხტება, შეუძლია ჰაერში ყოვნი გააკეთოს, მასთან ერთად ამხტარი მოწინააღმდეგე უკვე ძირს დაშვებას იწყებს, ის კი, ნახტომის უმაღლეს წერტილს მიღწეული, მდგომარეობის ბატონ-პატრონია და წამოწყებულ კომბინაციას წარმატებით აგვირგვინებს. შეკითხვაზე, როგორ ახერხებს ჰაერში გაჩერებას, ვლადიმერი უპასუხებს, რა გითხრათ ბუნებრივად გამომდის ახეო...

კალათბურთისათვის დაბადებული ვლადიმერი პირველად მძლეოსნობაში ცდის ბედს, სიმაღლეზე ხტომასა და მოკლე მანძილებზე სირბილში თბილისელ მოსწავლეთა შორის ტოლი არა ჰყავს, შემდეგ ფრენბურთის სექციაში ეწერება და 1956 წელს 17 წლის ჭაბუკი საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავს. მაგრამ არც ფრენბურთს შერჩა დიდხანს. შემდეგი მისი გატაცება უკვე კალათბურთია. ორიოდე წლის ვარჯიში და 1958 წელს ვლადიმერ უგრეხელიძე უკვე თბილისის „დინამოს“ ოსტატ კალათბურთელთა გუნდის წევრია.

ოთარ ჭორქია, ლევან ინწკირველი, ვაჟა ულენტი, გურამ მინაშვილი, ალექსანდრე კილაძე, ლევან მოსეშვილი... ამ კალათბურთელთა მხარდამხარ დგამს ვლადიმერი პირველ ნაბიჯებს დიდ სპორტში და წარმატებითაც. იმავე წელიწადს მკერდს ვერცხლის მედლით იმშვენებს.

საკმარისი იყო დინამოელთა დებიუტანტი ვლადიმერ უგრეხელიძე პირველად ენახა მოსკოველ სპორტის მოყვარულთ, რომ ცაში ჩიტივით აფრენილ ჭაბუკს „პტიცა“ შეარქვეს. მას შემდეგ მგონი ვლადიმერმაც დაივიწყა თავისი ნამდვილი სახელი, შინ თუ გარეთ, ჩვენში თუ საზღვარგარეთ „პტიცას“ ეძახიან და ისიც არ ბრაზობს, იცის, მოფერებით უწოდებენ ასე და ამა გულშემატკივართა სიყვარულზე როგორ თქვას უარი!

1958 წელს მოპოვებული წარმატება 1959 წელსაც განმეორდა. საქართველოს ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში ვლადიმერ უგრეხელიძეც შედიოდა, საბჭოთა კავშირის სპარტაკიადაზე მეორე ადგილი მოიპოვა. იმ წელიწადს კიდევ ერთხელ დაამტკიცა სპორტულ სამყაროში დამკვიდრებული აზრი: ქართველი კალათბურთელები თუ საბრძოლოდ განწყვნენ, მათი დამარცხება არავის შეუძლიაო. დიახ, მოხდა დაუჯერებელი ფაქტი, ლატვიის უძლიერეს გუნდთან შეხვედრის ბოლო წუთებზე, მაშინ როდესაც ერთი ქულით ხან ერთი გუნდი იყო წინ და ხან მეორე, მოედანზე სამი ქართველი სპორტსმენი დარჩა, დანარჩენები ხუთ-ხუთი პერსონალური ჯარიმის გამო ბრძოლას გამოეთიშნენ. ლატვიელები კი კვლავაც მთელი გუნდით იბრძოდნენ გამარჯვებისათვის. და ეს, როდესაც ყველა ფიქრობდა ბალტიისპირელები გავლენ ფინალშიო, ჩვენმა ბიჭებმა შეუძლებელი შეძლეს და შეხვედრა მოიგეს. მოსკოველმა მაყურებელმა გამარჯვებულნი ხელში აყვანილი გაიყვანა მოედნიდან. როდესაც სპარტაკიადაზე კალათბურთელთა დაჯილდოება ხდებოდა, ყველაზე მეტი ტაში პირველ ადგილზე გამოსულთ კი არა (სპარტაკიადის ჩემპიონი მოსკოვის გუნდი გახდა), ვერცხლის მედლის მფლობელთ — ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებს ხვდათ.

ამ ათიოდე წლის წინათ თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებმა მოიპოვეს კიდევ ერთი გამარჯვება, რომელიც ასე დაგვამახსოვრდა და რომლის ერთ-ერთი მთავარი გმირი ვლადიმერ უგრეხელიძე იყო. ალბათ ხვდებით, რომ ლაპარაკი 1962 წელს ევროპის ჩემპიონთა თასის მოპოვებასა და ფინალურ მატჩში მადრიდის „რეალის“ 9 ქულის სხვაობით დამარცხებაზეა. არ შემცდარხართ. ასეთი რანგის გამარჯვებით ბევრი გუნდი ვერ დაიკვეხნის და აბა რა გასაკვირია, მეხსიერებიდან არასოდეს ამოვიდეს.

იყო წლები, როდესაც თბილისის „დინამოს“ ძალზე გაუჭირდა. თაობათა ცვლას როგორც უველა, თბილისელებიც მტკივნეულად განიცდიდნენ. გამარჯვებებს შეჩვეული გულს გვტკენდა ქართველ კალათბურთელთა მეშვიდე თუ მერვე ადგილი. 1968 წელს მოპოვებულმა ოქროს მედლებმა კვლავ ჩაგვისახა იმედი, ვფიქრობდით, ქართული კალათბურთი დაიბრუნებდა დაკარგულ პოზიციებს, მაგრამ ასე არ მოხდა. შარშან გუნდმა მეშვიდე ადგილი დაისაკუთრა, მდგომარეობა არც წლეულს გამოსწორებულა და კვლავ მეშვიდე ადგილზე ვიმყოფებით. მაგრამ თბილისის „დინამო“ ცალკეულ შეხვედრებს ისევ ძველებური ბრწყინვალებით მართავს. კიევში ადგილობრივ „სტროიტელთან“ მატჩში, რომელსაც ისინი 17 ქულით აგებდნენ, ისე თავგამოდებით შეუტიეს მეტოქეს, რომ შეხვედრა სამი ქულის სხვაობით მოიგეს, ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა ვლადიმერ უგრეხელიძემ, რომელიც ახლა უკვე ვეტერანად იწოდება, მაგრამ კვლავ ძველებური მომხიბვლელობით, მხოლოდ მისთვის, „პტიცასათვის“ დამახასიათებელი ხელწერით თამაშობს.



ვლადიმერ უგრეხელიძის თამაში 25 ქვეყანაში უნახავთ და უველგან აღტაცებული დარჩენილან. საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში პირველად 1960 წელს შეიყვანეს და რომის ოლიმპიური ასპარეზობიდან შინ ვერცხლის მედალი ჩამოიტანა, 1961 წელს ევროპის ჩემპიონის ტიტულის მფლობელი გახდა. რიო დე ჟანეიროში 1963 წელს გამართულ მსოფლიო პირველობაზე კი მეგობრებთან ერთად მკერდი ბრინჯაოს მედლით დაიმშვენა.

1962 წელს, როდესაც ჩვენი ქვეყნის ნაკრები ამერიკაში ტურნეს მართავდა, საბჭოთა თუ უცხოურ უურნალ-გაზეთებში ვლადიმერ უგრეხელიძეზე მრავალი თბილი სიტყვა დაიწერა. მრავალთა შორის ერთხ ამერიკელთა ნაკრების მწვრთნელის სიტყვებს შეგახსენებთ, პრესკონფერენციაზე რომ განაცხადა — ჩემს გუნდს სიამოვნებით დავამშვენებდი ვლადიმერ უგრეხელიძითო...

და ვლადიმერ უგრეხელიძეც ამშვენებს... ქართულ კალათბურთს. ახტება ჰაერში, ერთ ადგილას მონუსხულივით გაშეშდება და როდესაც მასთან ერთად ამხტარი მოწინააღმდეგე დაბლა ეშვება, მდგომარეობის ბატონ-პატრონი ბურთს კალათში ათავსებს. აღფრთოვანებული მაყურებელი კი თავდავიწყებით უყვირის: — მიდი „პტიცა“, — მიდი...

ერთ-ერთი უკანასკნელი შეხვედრის დროს ვლადიმერს რამდენიმე შეკითხვით მივმართე. ვფიქრობ, ამ შეკითხვების პასუხები თქვენც დაგაინტერესებთ.

● დაიბრუნებს თუ არა ქართული კალათბურთი ძველ დიდებას?

დაიბრუნებს და მალეც. ამის გარანტიას ნიჭიერი ახალგაზრდები იძლევიან, რომლებიც ცოტანი როდი არიან ჩვენს რესპუბლიკაში.

● კიდევ რამდენ წელიწადს აპირებთ თამაშს?

სულ ცოტა, ხუთ წელიწადს. კალათბურთის უზომო სიყვარულმა შეიძლება ხუთი წლის შემდეგაც დამტოვოს მოქმედ სპორტსმენად.

● როდის გახდება საბჭოთა კავშირის ნაკრები ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონი?

ვერაფერს გეტყვით, ამერიკელებს, სადაც კალათბურთი № 1 სპორტად ითვლება, ხომ სწორედ ოლიმპიადაზე გამოჰყავთ უძლიერესი გუნდი.

● დაასახელეთ ჩვენი დროის სამი უძლიერესი კალათბურთელი, რომლებიც თქვენ გინახავთ.

ამერიკელი ოსკარ რობერტსონი, ესპანელი როდრიგესი და ქართველი გურამ მინაშვილი.

● გააგრძელებენ თუ არა ოჯახის ჭეშრები თქვენს სპორტულ ტრადიციებს?

ჩემი ორივე ქალიშვილი ჭერჭერობით ცურვით არის გატაცებული, „ჭერჭერობით“-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ მეც და ჩემი მეუღლეც, რომელიც ადრე კალათბურთს თამაშობდა, ვოცნებობთ, ერთ-ერთი მაინც კალათბურთელი გახდეს.

● კალათბურთს რომ დაანებებთ თავს, რას გააკეთებთ?

სპეციალობით ინჟინერ-მექანიკოსი ვარ, ვმუშაობ წყალთა შეურნეობისა და მელიორაციის ტრესტში, ვერ ვიტყვი, ჩემი მუშაობით კმაყოფილი ვიყო, ხშირი მოგზაურობა საშუალებას არ მაძლევს ვიწოდებოდე გამოცდილ ინჟინრად, მაგრამ გამოვემშვიდობები კალათბურთს და ჩემს მთავარ სპეციალობას ერთგულად მოვემსახურები.

ომარ მესხიშვილი

პრაჩვეულებრივი წარმატება

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, დიდი ხნის შესვენების შემდეგ, კვლავ მიუჯდა ჭადრაკის დაფას. ბელგრადში გამართულ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც რვა მარტს მიეძღვნა, ჭადრაკის დედოფალმა არაჩვეულებრივ წარმატებას მიაღწია: თორმეტი თამაშიდან თორმეტი ქულა შეაგროვა!

და თუმცა ჩვენს თანამემამულეს კიდევ ერთი თამაში აქვს დარჩენილი, მაგრამ პირველი ადგილი ფინიშამდე ბევრად ადრე გაინაღდა, უახლოესი მეტოქე — რუმინელი ნიკოლაუ მას ორნახევარი ქულით ჩამორჩება.

22 მარტს ტურნირის მონაწილენი ბელგრადის ერთ-ერთ რესტორანში სადილზე მიიწვია იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის იოსებ ბროზ-ტიტოს მეუღლემ, ქალბატონმა ივანკამ. სადილს პრეზიდენტიც ესწრებოდა.

მოკლედ

● დონის როსტოვში გამართულ ძალოსანთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში თავი ისახელა მეხიკოს ოლიმპიურ ასპარეზობათა პრიზიორმა, ევროპის ვიცე-ჩემპიონმა დიტო შანიძემ. 32 წლის სპორტსმენმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მსუბუქი წონის ძალოსნებში იგი ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში. დიტომ უცხოელ და საბჭოთა სპორტსმენებთან ჭიდილში სამი საკავშირო რეკორდი დაამყარა, რომელთაგან ერთი მსოფლიო მიღწევა გახლავთ.

შანიძემ აჰკრა 153,5 კილოგრამი, რაც 0,5 კილოგრამით მეტია იაპონელ იოსინობუ მიაკეს მიერ 1969 წელს დამყარებულ მსოფლიო რეკორდზე.

● არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ღია ჩემპიონატში წარმატებას მიაღწია ალექსანდრე მეტრეველმა. მან ფინალში სძლია ეგვიპტელ პროფესიონალ ჩოგბურთელ ელ-შაფეის და თავის უამრავ ტიტულს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ჩემპიონის ტიტულიც მიუმატა.

● ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების კენჭისყრამ თბილისის „დინამოს“ პირველ მეტოქედ კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“ არგუნა. თბილისში მატჩი უშედეგოდ — 0:0 დამთავრდა. მეორე შეხვედრაში (მატჩი სოჭის სტადიონზე გაიმართა) გაიმარჯვეს თბილისელებმა (2:1).

● ხელბურთში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პირველი წრე თბილისში მოეწყო. მახპინძლებმა თბილისის „ჭარშხალას“ ხელბურთელებმა, შვიდი თამაშიდან 8 ქულა მოაგროვეს და მეოთხე ადგილზე იმყოფებიან.

● ასპარეზობამ რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის რობერტ შავლაყაძის პრიზზე თბილისელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ჩვენს დიდაქალაქში კონტინენტის თითქმის უველა უძლიერესი მხტომელი ჩამოვიდა — ბრუმელი, გავრილოვი, ტარმაკი, სტადნიკოვი, შიგინი, ტიხონოვი, მარტინოვი, ახმეტოვი, ბაუდისი, მახაჩევი, დანჩევი, იეკომირიანუ... თითოეულ მათგანს სხვადასხვა დროს დაძლეული აქვს „კოსმოსური სიმაღლე“.

გაიმარჯვა 20 წლის ბერდიჩეველმა ახმეტოვმა, რომელიც 2 მეტრსა და 17 სანტიმეტრზე გადებულ თამასას გადაევლო.

წერილები საფრანგეთიდან

ამ რამდენიმე თვის წინათ იოსებ გოგოლაშვილს, რომელიც საფრანგეთში ცხოვრობს, ფრანგულ ენაზე სათარგმნელად, მისივე თხოვნით, კაკაძემიძოს შალვა ნუცუბიძის ორი შრომა — „ამირანი“ და „სიბრძნე ბალავარისა“ გავუგზავნეთ.

თებერვალში რედაქციამ ბატონ იოსების რამდენიმე წერილი მიიღო. ავტორის თანხმობით გთავაზობთ ზოგიერთ ნაწყვეტს ამ წერილებიდან.

გთხოვთ ჩემი საახალწლო მილოცვა და საუკეთესო სურვილები გადასცეთ ჩვენი ძვირფასი შალვა ნუცუბიძის ოჯახს, აგრეთვე ყველა ჩემ ძველ ამხანაგსა და მეგობარს, ვისაც ვახსოვარ ბევრი ჩემი ამხანაგ-მეგობარი ახლა პროფესორი და აკადემიკოსია. ამიტომ გავკადნიერდები და ჩვენი სამეცნიერო აკადემიის ყველა წევრს ვულოცავ ახალ წელიწადს, ვუსურვებ ხანგრძლივ სიცოცხლეს და ბედნიერ ცხოვრებას ძვირფასი სამშობლოს საკეთილდღეოდ. ასევე ვულოცავ ახალ წელიწადს გაზეთ „სამშობლოს“ თანამშრომლებს და ვუსურვებ ბედნიერად და მუდმივ გაგრძელებულიყოს ჩვენს შორის ასე დირსეულად და სასარგებლოდ დამყარებული ურთიერთობა. ვინაიდან ეს საძაგელი სახელი „ემიგრანტი“ თავიდან მოვიშორეთ და ამჟამად უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებად ვითვლებით, ყველა ჩვენგანს ვუსურვებ საკუთარი, თუნდაც მცირედი წვლილი შეეტანოს ძვირფასი სამშობლოს საერთო საგანძურში.

...შალვას „ბალავარის“ თარგმნა არ დამიწყია, ვინაიდან ჯერ ექვთიმე თაყაიშვილის ბიოგრაფიის დამთავრებას ვაპირებ. თქვენს გარდა, ჩემი ვაჟიც მაჩქარებს, რადგან ის იქნება მთავარი რედაქტორი (როგორც რედაქტორს, ფრანგული ენის საუკეთესო მცოდნეს, მას კარგი სახელი აქვს მოხვეჭილი პარიზში). რაც შეეხება „ამირანის“ თარგმანს, თუ მე ვერ მოვასწარი (მეტად მოვხუცდი), ჩემი შვილი გააგრძელებს. მან ქართული ენა ჩემზე ნაკლებ არ იცის და ეცდება თარგმანი ლექსად იყოს, როგორც შალვას ორიგინალშია. ეს იქნება ჩვენი მცირედი პატივისცემა შალვასადმი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ქართულ მეცნიერებას შესწირა.

...თქვენს გაზეთზე. არ შეიძლება არსებობდეს სხვა აზრი, გარდა იმისა, რომ ერთადერთი კავშირი გვაქვს ჩვენს ძვირფას სამშობლოსთან „სამშობლოს“ საშუალებით. თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, რას ნიშნავს ეს ყოველი ქართველისათვის.

...„სამშობლოს“ თითოეული ნომერი ყოველი ქართველისათვის მეტად საინტერესოა და ცხოველი, მშვენივრად შედგენილი და გამოცემული. მაგრამ განსაკუთრებით მასიამოვნა 1970 წლის 14 ნოემბრის ნომერმა, რომელიც ქუთაისს მიეძღვნა. იგი ნამდვილი განძია ჩემთვის. მე ქუთაისში ვარ დაბადებული 1885 წელს, იქ გავიზარდე, ოთხი კლასი (ბანკის კლასს ეძახდნენ მაშინ) დავასრულე და ვერ წარმოიდგენთ, რა გამახარეთ, ჩემი უპირველესი მასწავლებლისა და დამრიგებლის სილოვან ხუნდაძის ძეგლის სურათი რომ დავინახე. მინდა ამ უძვირფასეს დიდ ქართველს და შესანიშნავ აღმზრდელ პედაგოგს ორიოდე სიტყვა ვუძღვნა. შეიძლება სხვა მისი მოწაფეებიც გამოეხმაურონ ამ ჩემ მცირე მოგონებას.

სილოვანი „მანიაკი“ იყო ქართული ენის სიწმინდისა. მას მონოგრაფია აქვს გამოცემული ქართულ ზმნებზე, რომელზეც ჩვენ გავიზარდეთ. ერთხელ, ლალიძის სასმელების მისადგომში შევედით ლიმონათის დასალევად. სილოვანმა „ყოლოს წყალი“ მოითხოვა. მოსამსახურემ უთხრა: ბატონო, ბუოლის წყალი არა გვაქვსო. სილოვანი ახარხარკრავით გამობრუნდა ქუჩაში და მაძახა: შეგარცხვინათ ქალთმა, რომ ყოლო ბუოლისაგან ვერ გაგარჩევიათო!

მეორე მოგონება: როდესაც ოთხი კლასი დავასრულეთ, სილოვანმა ათი მოწაფე აგვარჩია და გვითხრა, რას ვპირებთ ახლა. ზოგი ჩვენგანი რუსული გიმნაზიისათვის ვპირებდა მზადებას, სადაც დირექტორი იყო გარუსებული ჩეხი ჩებიში, ზოგიც სახელოსნოებში ვპირებდა შესვლას. მან გულდადებით მოგვისმინა და გვირჩია: წადით ტფილისში, იქ პირდაპირ მეხუთე კლასში მიგიღებენ, შესანიშნავი ადამიანი ექვთიმე თაყაიშვილი არისო გამგედ. თანაც თითოს საგზაოდ ათ-ათი მანეთი დაგვირიგა. წინდაწინ შეეგროვებინათ მას და მეორე შესანიშნავ ქართველ პედაგოგს იოსებ ოცხელს, რომელიც ქუთაისის სკოლის დირექტორი იყო.

...უნდა ჩამთვალოთ „სამშობლოს“ ერთგულ მკითხველად და აგრეთვე თანამშრომლად, რითაც მეტად მასიამოვნებთ. ამ დიდ საქმეს, რომელსაც თქვენ ემსახურებით, ჩვენთვის განუზომელი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან იგი გვაკავშირებს ჩვენს ძვირფას სამშობლოსთან, ქართველ ერთან და საქართველოში ბედნიერად მყოფ ჩვენს თანამემამულეებთან, ახლობელ თუ შორეულ ნათესავებთან, აგრეთვე ყველა ჩემ ძველ ამხანაგ-მეგობართან, რომელთაც ჰქონდათ ბედნიერება სამშობლოში დარჩენისა და მე და ჩემ მეუღლესავით არ დასჭირდებათ ხვეწნა:

„ცა-ფიზურ, ხმელეთ-ზურმუხტო,
შენს მიწას მიმაბარეო“,

ან მუდარა — უცხოური საფლავისათვის პატარა ამანათით საქართველოს მიწა გამოგვიგზავნეო, რათა ამით მაინც ვინუგეშოთ თავი...

...გთხოვთ გაზეთის საშუალებით მოგვაწოდოთ რაც შეიძლება მეტი ცნობა ჩვენი ძვირფასი სამშობლოს შესახებ ყველა დარგში, აგრეთვე გააგრძელოთ ჩვენებური სამზარეულოს აღწერა, ვინაიდან აქ ვთარგმნით და ფრანგულ გაზეთებს ვაწვდით. მეტად მოსწონთ. ამჟამად გთხოვთ დაგვიბეჭდოთ „ვარიები ტაბაკად“, „ბადრიჯანი იმერულად გამოხდილი ნიგვზის საწებლით“, გაგვიმეოროთ ბადრიჯნის მურაბა და აგრეთვე მოგვაწოდოთ შვინდისა და კაკლის მურაბის მომზადების წესი.

ვასრულებთ თხოვნას და დღეიდან თანდათანობით მოგაწვდით თქვენს მიერ დაკვეთილი კერძების მოზადების წესებს. მათი ავტორია ქალბატონი თამარ სულაქველიძე.



მოლოდინი.

ოთარ თურქიას და ბონდო დადვაძის ფოტო.

ქართული სამზარეულო

ვარია ტაბაკად

გასუფთავებული, გარეცხილი ვარია გაჭერით სიგრძეზე, გადახსენით ისე, რომ ნახევრები ერთმანეთს არ მოაშოროთ. მოაყარეთ მარილი, მოათავსეთ ცხიმიან ცხელ ტაფაზე, დაფარეთ ზემოდან თეფში, დაადეთ სიმძიმე და შეწვით, როცა ერთი მხარე შეიწვება, გადააბრუნეთ, და თავსახური ახადეთ. წვის დროს სანგამოშვებით უმატეთ ცხიმი.

სუფრაზე მიტანისას მორთეთ მწვანილის ღეროებით. ცალკე მიიტანეთ საწებელა (ნივრის, ტყემლის, ბროწეულის...).

ვარიის ტაბაკა შეგიძლიათ დაამზადოთ შემდეგნაირადაც: ნიორი (ორი-სამი კბილი), ქინძი (ოთხი ღერი), წიწაკა და მარილი (თქვენს გემოზე) დანაყეთ ერთად და სატაბაკედ გამზადებულ ვარიას წაუსვით ყოველი მხრიდან. შემდეგ მოათავსეთ ტაფაზე და ზემოაღნიშნული წესით შეწვით. შემწვარ ცხელ ვარიას სუფრაზე მიტანის წინ კვლავ წაუსვით გამზადებული მასალა. ასეთნაირად შემწვარი ვარია სასიამოვნო სურნელებისაა.

ბადრიჯნის მურაბა

საშუალო სიდიდის ქორფა ბადრიჯნები (უთესლო) გარეცხეთ, წვერი წაჭერით, გაფცქვენით, გაჭერით სიგრძეზე ორ ან ოთხ ნაჭრად ისე, რომ ყუნწი ყველას შეაყოლოთ და მიეცით პატარა ბადრიჯნის ფორმა. ასეთნაირად დაჭრილი 100 ან 110 ცალი ბადრიჯნის ნაჭერი უნდა მიიღოთ, დათლის დროს ბადრიჯანი მაშინვე ჩაყარეთ ცივ წყალში და ჭურჭელს თავი დაასურვეთ. შემდეგ ამოიღეთ წყლიდან, გადაიტანეთ სხვა შესაფერ ჭურჭელში, დაასხით 300 გრამი კირი, დაასხით იმდენი ცივი წყალი, რომ დაფაროს და ისევ გააჩერეთ საათნახევარს. შემდეგ კარგად გარეცხეთ ცივი წყლით, ჩაყარეთ მდუღარეში და ადუღეთ სამ წუთს. გადაიტანეთ თუშფალანგში, რომ წყლისაგან დაიწრიტოს. კვლავ ადუღეთ წყალი, ჩაყარეთ ერთი სუფრის კოვზი შაბი, შემდეგ ბადრიჯანი და ადუღეთ სამხუთ წუთს. შაბიანი წყალი გადაღვარეთ და ბადრიჯანი გაწურეთ. სუფთა წყალში ჩაყარეთ ნახევარი ჩაის ჭიქა ფხვნილი შაქარი და ბადრიჯანი სათითაოდ კარგად გაწურეთ. ცხრა-ათი ჩაის ჭიქა წყლისა და ორი კილოგრამი შაქრისაგან მოხარშეთ ვაჟინი. მდუღარე ვაჟინში მოათავსეთ მომზადებული ბადრიჯანი და ხარშეთ შემზადებამდე. ხარშვის დასასრულს უყავით განილინი (თქვენს გემოზე).

„ქართული სამზარეულო“ გერმანულ ენაზე

ამ ცოტა ხნის წინათ დასავლეთ გერმანიაში გამომცემლობა „საქართველომ“ გერმანულ ენაზე გამოსცა ლილი პაპე-გეგელაშვილისა და ნიკოლოზ ჯანელიძის ერ შედგენილი „ქართული სამზარეულო“. წიგნს დართული აქვს გამოჩენილ გერმანელ ადამიანთა შესწედულებანი საქართველოზე, ქართველ ხალხსა და მის სამზარეულოზე, ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საქართველო არის დღევრძელთა მხარე, რომ ამ ქვეყანაში ადამიანები 100 წელზე მეტ ხანს ცოცხლობენ. გამოვენებულ ლიტერატურაში, სხვა წიგნებთან ერთად, დასახელებულია თამარ სულაქველიძის ნაშრომები „სამზარეულო დასახლისთათვის“, „ქართული კერძები“, „ბოსტნეულის კერძები“, მითითებულია გაზეთ „სამშობლოში“ გამოქვეყნებული რეცეპტები, რომლებიც აგრეთვე ქალბატონ თამარ სულაქველიძეს ეკუთვნის. გარეკანის მეოთხე გვერდზე დაბეჭდილია საქართველოს რუკა. წიგნი კარგად არის დასურათხატებული.

ამ დღეებში თამარ სულაქველიძემ დასავლეთ გერმანიიდან მიიღო ეს წიგნი ძღვნად ავტორებისაგან ქართული წარწერით: „დიდის პატივისცემით სამშობლოს მოღვაწე ქართველ ქალს ექიმ თამარ სულაქველიძეს“...

რედაქტორი
ვახტანგ ესვანჯია

დაგეძებენ, მოგელიან

გიორგი ნიკოლოზის ძე გედოშვილს,

დაბადებულს 1924 წელს გორის რაიონის სოფელ წიდისში, ეძებენ დედა —**ელენე,** დები — **ლუბა, ეკატერინე,** ნინო **ბედოშვილები,** მცხოვრებნი სოფელ წიდისში.

ამბროსი იაგორის ძე გოგუას,

დაბადებულს 1914 წელს მარნეულის რაიონის სოფელ ჯუმათში, ეძებენ მეუღლე — **თამარ,** შვილები — **ანზორ** და **რობერტ გოგუები,** მცხოვრებნი დუშეთის რაიონის სოფელ ყვავილში.

მიხეილ ნიკოლოზის ძე ხმალაძეს,

დაბადებულს 1907 წელს კიროვაკანის რაიონის სადგურ ქალაგერანში, ეძებენ ძმა — **გრიგოლ,** და — **ქეთევან** და **ნინო ხმალაძეები,** მცხოვრებნი თბილისში, პლეხანოვის გამზირი, № 150.

საჩინო ვასილის ძე სანაიას,

დაბადებულს 1920 წელს გეგეჭკორის რაიონის სოფელ ლეხაინდრაოში. ეძებენ მამა — **ვასილ,** დედა — **მინა,** და ძმა — **ალექსანდრე** და **თემრაზ სანაიები,** მცხოვრებნი სოფელ ლეხაინდრაოში.

დავით გრიგოლის ძე თაბაგარს,

დაბადებულს 1916 წელს ზესტაფონის რაიონის სოფელ შროშაში, ეძებენ მეუღლე — **რუსუდან,** შვილი — **თამილა,** შვილიშვილები — **დავით** და **ლევან ვლადიმერის ძე გუგუშვილები,** მცხოვრებნი თბილისში, ახალშენის ქუჩა № 17 „ა“.

სერგო ბესარიონის ძე ვაშაკიძეს,

დაბადებულს 1921 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიშში, ეძებენ დედა — **ოლია,** მამა — **ბესარიონი (ლოლოლეიშვილი),** ძმები — **უშანგ** და **სილოვან,** დები — **ეთერ, ნორა** და **ელენე ვაშაკიძეები,** მცხოვრებნი ქალაქ სამტრედიაში, ლენინის ქუჩა — № 83.

აპრილი

გაზაფხული გაზაფხულობს. ათასფრად აფეთქებულა ველ-მინდვრები. აპრილის პირველივე დღე და... ტყუილი აბა რა საკადრისია, რომ გითხრათ: პირველ აპრილს გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, მწერალი ან მსახიობი დაიბადა-მეთქი, მაინც არ დაიჯერებთ, გადაშლით კალენდარს და ნახავთ, რომ ეს დღე რაიმე ღირსშესანიშნავ მოვლენას არ უკავშირდება. ერთი კია, დღის სიდიდე წინა დღესთან შედარებით მთელი 3 წუთით გაიზარდა და, რაღა თქმა უნდა, მზესაც სითბო მოემატა.

პირველი ზეიმი, რომელიც აპრილის თვეში გაიმართება, გეოლოგის დღე გახლავთ. იგი 5 აპრილს აღინიშნება.

7 აპრილს კი მედიცინის მუშაკებს ეწნებათ ზეიმი — ჯანმრთელობის მსოფლიო დღეა.

90 წლის წინათ, 1881 წლის 7 აპრილს დაიბადა სახალხო გმირი არსენ ჯორჯიაშვილი.

12 აპრილი კოსმონავტიკის დღეა.

17 აპრილს დაბადების 60 წელი უსრულდება ქართველ კრიტიკოსს აკაკი გაწერელიას.

ფუნჯის ცნობილ ქართველ ოსტატს, საქართველოს სახალხო მხატვარ ელენე ახვლედიანს 18 აპრილს 70 წელი უსრულდება. რა თქმა უნდა, ხელოვანი ამ დღეს მრავალ მილოცვას მიიღებს. ჩვენც დიდხანს სიცოცხლესა და ახალ შემოქმედებით გამარჯვებას ვუსურვებთ ქალბატონ ელენეს.

22 აპრილი — ეს დღე მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანებისათვის არის ცნობილი, ამ დღეს დიდი ლენინი დაიბადა.

24 აპრილს ახალგაზრდობის სოლიდარობის საერთაშორისო დღე აღინიშნება.

ამავე დღეს სრულდება ასი წელი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ლადო ბზვანელის (ნაცვლიშვილის) დაბადებიდან.

ქართული კალენდარი

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66488